# მაცნე
## სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N28 (9279) | 10 ოქტომბერი. 2018 წელი | ფასი 50 თეთრი


## ინფორმაცია ცვლის ქცევას

2

### 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების "ეთიკის პრინციპების" პრეზენტაცია

3

### ამჯერად ნოლაში _ სოფლებში შეხვედრები მრძელდება

### "ჯეო ჰოსპიტალსი" უფასო გამოკვლევებს აგრძელებს

### მართლაც არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები

5

6

### "ამ პროექტის შემდეგ იურისტობა გადავწყვიტე"

## ვიღრე თვითმეტ კლასს არ დაამთავრებენ...

8

8

### რკინიგზელთა პროფესიულ დღესასწაულზე ვინ იქნება შემდეგი

### "პატივს ვცემ დათო ტურაშვილის პატრიოტიზმს, რომანებში გამოკვეთილს"

## ჟარტულ იუმორს უკურნებელი სენი რომ არ შეუპარავს

7

# 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების "ეთიკის პრინციპების" პრეზენტაცია

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების წინ პრეზიდენტობის კანდიდატები ეთიკის პრინციპებზე თანხმდებიან. 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების "ეთიკის პრინციპების" დოკუმენტის პრეზენტაცია სასტუმრო "ბილტმორში" გაიმართა. ღონისძიების მონაწილეებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) თავმჯდომარე თამარ ჟვანია და შვეიცარიის ელჩი ლუკას ბეგლინგერი მიესალმნენ.

დოკუმენტზე ხელმომწერი პირები თანხმდებიან, რომ დაიცავენ საზოგადოების ინტერესებს. ეთიკის პრინციპები საფუძვლად დაედება პრეზიდენტობის კანდიდატთა მიერ წარმოებულ საარჩევნო კამპანიას. დოკუმენტზე ხელმომწერი პირები ასევე თანხმდებიან, რომ დაიცავენ საქართველოს კანონმდებლობას, საქმიანობას აწარმოებენ ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე; არ გამოიყენებენ სიძულვილის ენას, ქსენოფობიურ ან მუქარის შემცველ გამონათქვამებს; ხელს შეუწყობენ მშვიდობიან საარჩევნო გარემოს, ასევე, ხელს არ შეუშლიან კონკურენტების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებსა და სააგიტაციო მასალის გავრცელებას; განზრახ არ გაავრცელებენ ყალბ ინფორმაციას სხვა კანდიდატების შესახებ და არ გამოიყენებენ ადმინისტრაციულ რესურსებს.

"ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტის პრეზენტაცია გაიმართა მედიისა და საზოგადოების წინაშე. ეს გახლავთ ეთიკის პრინციპებზე შეთანხმების დოკუმენტი. პრეზიდენტობის თითოეული კანდიდატი და მათი წარმომადგენლები ჩართული იყვნენ ეთიკის პრინციპების შემუშავების პროცესში და ისინი აცხადებენ თანხმობას ამ დოკუმენტზე შემოერთების. დოკუმენტს უკვე 20-მდე კანდიდატმა მოაწერა ხელი და ველოდებით ყველა კანდიდატის ხელმოწერას, ვინაიდან ჩვენ გვაქვს მათი წინასწარი თანხმობა და მხარდაჭერა დოკუმენტის შინაარსთან და შეთანხმებასთან დაკავშირებით. ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია, ვიანიდან საარჩევნო კულტურის განვითარება, საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა ასევე არის ჩვენი ქვეყნის დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილი. ის ეთიკის პრინციპები, რომლებიც გახლავთ საზოგადოების ინტერესების დაცვა ძალადობაზე უარის თქმა, მუქარისა და შანტაჟის გამოუყენებლობა, სიძულვილის ენის გამოუყენებლობა, ცხადია, ჩვენთვის არის მნიშვნელოვანი და უპირველეს ყოვლისა, არის ჩვენი ქვეყნისა და ამომრჩევლების პატივისცემა, როდესაც კანდიდატები ამ ეთიკის პრინციპებით განახორციელებენ კამპანიას". _ განაცხადა თამარ ჟვანიამ ჟურნალისტებთან საუბრისას.

"ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესში, რომლის მეშვეობითაც გვეძლევა შესაძლებლობა, შეიცვალოს პოლიტიკური კულტურა, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს და ორიენტირებული იქნება წინასაარჩევნოდ უფრო მეტად არსებითი საკითხების შესახებ დისკუსიასა და ობიექტურ დებატებზე, პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმის ნაცვლად. პოლიტიკური კულტურის ცვლილება საჭიროა იმდენად, რამდენადაც არ არის საკმარისი გვქონდეს მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტები ან საარჩევნო კოდექსი. დემოკრატია საბოლოო ჯამში გულისხმობს სამართლიანი და თავისუფალი კონკურენციის პრინციპს ამა თუ იმ იდეისა თუ პოლიტიკური პროგრამის შესახებ; სწორედ ამიტომ, შვეიცარიისთვის მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს მაღალი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას საქართველოში; მხოლოდ მოხარული ვარ, რომ ჩვენმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და პრაქტიკულად ყველა კანდიდატმა მოაწერა დოკუმენტს ხელი". _ განაცხადა შვეიცარიის ელჩმა საქართველოში ლუკას ბეგლინგერმა.

შეთანხმების პროცესს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერით გაუწია ფასილიტაცია. პრეზენტაციას, კანდიდატებთან და მათ წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ საერთაშორისო ორგანიზაციების და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები.

*ცენტრალური საარჩევნო კომისია*

# ინფორმაცია ცვლის ქცევას

თეა ბაბუნაშვილი

საარჩევნო პროცესებში მედიის როლსა და საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეებზე რეგიონული მედიის ჟურნალისტებისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ტრენინგი გაიმართა. აქცენტები გაკეთდა კენჭისყრის დღეს ფოტო-ვიდეო გადაღებების რეგულაციებზე, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობაზე, გენდერულ თანასწორობაზე არჩევნების პროცესში, უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის საკანონმდებლო მექანიზმებსა და უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებზე, არჩევნების გაშუქების ძირითად სქემებსა და მედიის როლზე საარჩევნო პროცესში. ცესკოს სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებული ეს ტრენინგი, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES), აგრეთვე, "საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციასა" და "ჟურნალისტიკის რესურსცენტრთან" თანამშრომლობით ჩატარდა. სწავლება როგორც ტელე-რადიო მაუწყებლობის, ისე ბეჭდვური და ონლაინ გამოცემების ჟურნალისტებმა გაიარეს. ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია, მისი მოადგილე გიორგი შარაბიძე, ცესკოს სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი ნათია ზაალიშვილი და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ხელმძღვანელი დავით ღონღაძე ტრენინგის დაწყებამდე მიესალმნენ ჟურნალისტებს.

"საარჩევნო კომისიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობა და მათი განსწავლულობა საარჩევნო საკითხებში. მედიას უდიდეს საინფორმაციო ძალასთან ერთად საგანმანათლებლო ძალაც აქვს ამომრჩეველთან ურთიერთობაში და აქვს ზედამხედველობის ფუნქციაც. ამიტომ საარჩევნო ადმინისტრაციისთვის გამორჩეულად მნიშვნელოვანია მედიასთან და, ზოგადად, ჟურნალისტებთან ურთიერთობა. ყველას ჰქონდა მოლოდინი, რომ ეს არჩევნები თავისი ადმინისტრაციული დანიშნულებით შედარებით მარტივად ჩაივლიდა, მაგრამ ვხედავთ, რომ ეს ასე არ არის. გვაქვს ისეთი მოცემულობა, რომ ეს არჩევნები მასში ჩართული პოლიტიკური მხარეების მიერ აღქმულია როგორც დიდი პოლიტიკური ბრძოლა. დღეს თქვენ მოგვწოდებათ ინფორმაცია არა მხოლოდ უშუალოდ საარჩევნო დღის ირგვლივ, არამედ, ზოგადად, საარჩევნო პროცესის და მასში მედიის ჩართულობისა და როლის შესახებ." _ აღნიშნა თამარ ჟვანიამ საკუთარ მისასალმებელ სიტყვაში. სწავლების ცენტრის დირექტორმა ნათია ზაალიშვილმა აქცენტი გააკეთა მედიის კომპეტენციაზე არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებში: "ვფიქრობთ, რომ ეს სასწავლო პროგრამა ხელს შეუწყობს მედიის წარმომადგენლებს, უკვე არჩევნების დღეს ეფექტიანად განახორციელონ მათ კომპეტენციებს მიკუთვნებული საქმიანობა და ხელს შეუწყობს ამომრჩეველს, გააკეთოს გაზრებული პოლიტიკური არჩევანი."

"მედიას ავალია, იყოს სიღრმისეული და ანალიტიკური". _ აღინიშნა ტრენინგზე. იქვე ყურადღება გამახვილდა იმაზეც, რომ "ახლოა ზღვარი შეზღუდვებსა და უფლებებს შორის!", "ინფორმაცია ცვლის ქცევას, ჩვენი კონტენტით პასუხისმგებელი ვართ ამომრჩეველთან" _ ამგვარი და კიდევ ბევრი მსგავსი ფრაზები მედიისთვის გამართული სწავლებიდან, სავარაუდოდ, წაადგება მის ჩართულობას საარჩევნო პროცესებში.

# ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთათვის

ქეთევან ჭელიძე

ტრენინგები, რომელიც 30 სექტემბერს დაიწყო და 23 ოქტომბრამდე გაგრძელდება, სწავლების ცენტრის მიერ 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის არის შემუშავებული. სწავლება 4 ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე იგი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა პირებმა გაიარეს. ამჟამად მიმდინარეობს მეორე ეტაპის ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის. ყველა ეტაპი გათვლილია პროფილურ სწავლებაზე. პროგრამის ფარგლებში მონაწილენი გაეცნობიან ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა:

საარჩევნო უბნის გახსნა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის ფუნქციების წილისყრით განაწილება; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ საქმიანობის განხორციელება კენჭისყრის პროცესში ამომრჩევლის საარჩევნო უფლების რეალიზების უზრუნველსაყოფად; ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა; კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ საქმიანობის განხორციელება საარჩევნო უბნის დახურვისა და ხმის დათვლის პროცესში; კენჭისყრის შედეგების შეჯამება საუბნო საარჩევნო კომისიაში.

საარჩევნო კომისიების წევრთა პროცედურული ცოდნის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგი ჩატარდება კომბინირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

№54 სამტრედიის საარჩევნო ოლქში ტრენინგებს ტრენერები სოფო დარჯანია და გიორგი ლაკვეხელიანი ატარებენ. როგორც სოფო დარჯანია გვიხსნის, სწავლებას ოთხივე ეტაპზე 600 ადამიანი გაივლის.

# ვნებათაღლვაც, კონსენსუსიც...

ლევან გაბეჩავა

მორიგი სხდომა გამართა 1-ლ ოქტომბერს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელსაც ტრადიციისამებრ საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა.

მუნიციპალიტეტში მოქმედი რიგი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ააიპ-ები) 2018 წლის პროგრამისა და მათი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის შესაბამის განკარგულებებში ცვლილებების შეტანა.

ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2018 წლის აგვისტოს ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ. აი, საკითხები, რომლებიც ამჯერად დღის წესრიგში იყო.

მომხსენებელი ყველა საკითხზე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი შალვა არზუმანიანი გახლდათ.

დღის წესრიგში დასმულ საკითხთა განხილვისას საკრებულოს წევრებს, ბატონებს მამუკა ბიბილეიშვილს, ავთანდილ თადუმაძეს, ავთანდილ სტურუას მომხსენებელთან და შესაბამისად ცალკეულ ააიპ-ების თავკაცებთან გარკვეული კითხვები გაუჩნდათ.

რატომ არაა მოწესრიგებული ქალაქში არსებული ყველა სასაფლაო?

რატომ ვერ ხერხდება შუქნიშნების ამოქმედება?

რატომ არ იყო მოწვეული ამას წინათ გამართულ შეჯიბრზე (საცხენოსნო კლუბი) სამედიცინო ბრიგადა, როცა ამის აუცილებლობა იყო?

რატომ ვერ ხერხდება წლების მანძილზე კულტურის ცენტრისათვის შესაბამისი აპარატურის შეძენა, რომელიც უზრუნველყოფს ზამთრისა და ზაფხულის პერიოდში კლიმატის რეგულირებას? _ აი, ნაწილი კითხვებისა, ოპოზიცია რომ სვამდა სხდომაზე და რომლებსაც პასუხს შესაბამისი ააიპ-ების თავკაცები სცემდნენ.

საკმაო ხანს გაგრძელდა ვნებათაღლვა პოზიცია-ოპოზიციას შორის სადავო საკითხებზე, თუმცა, აშკარა იყო, მუნიციპალიტეტისათვის პრინციპული საკითხების განხილვისას, მხარეთა მიერ გამოთქმულ აზრთა თანხვედრა, რაც მისასალმებელია.

“ბატონებო, კოლეგებო, კითხვები, რომლებიც დღეს აქ გვესმის საკრებულოს კომისიათა სხდომაზე უნდა დაისვას და არა საკრებულოს სხდომაზე. სხდომა წესისამებრ ჩავატაროთ, შემდეგ კი სრული უფლება გაქვთ, ნება გეძლევათ ისაუბროთ ნებისმიერ საკითხზე”._ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარემ კოლეგებს.

მიუხედავად იმისა, რომ რიგ საკითხთა განხილვის შემდეგ მხარდაჭერაზე საკრებულოს რამდენიმე წევრმა თავი შეიკავა, დღის წესრიგში დასმული საკითხები განიხილეს და შესაბამისი გადაწყვეტილებებიც იქნა მიღებული.

დაბოლოს, ვნებათაღელვით დაწყებული და მაინც საქმიანი სხდომა მშვიდ ვითარებაში დასრულდა.

# ამჯერად ნოლაში _ სოფლებში შეხვედრები მრძელდება

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებს. ვალერიანე ფოცხვერიამ ამჯერად ტოლების თემს მიაშურა და ნოლის საჯარო სკოლაში ადგილობრივებთან საქმიანი შეხვედრა გამართა.

ვალერიანე ფოცხვერია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი: “ჩვენ ვაგრძელებთ მუნიციპალიტეტის შემოვლას. ტოლების თემამდე ვიყავით ეწერში, დიდ ჯიხაიშში. მოსახლეობასთან ადგილობრივ პრობლემებზე საუბარს შედეგი აქვს. გლეხობა უფრო გახსნილია და ჩვენთვისაც ნათელი სურათი იქმნება, რომელ თემსა და სოფელში რა უნდა გავაკეთოთ სამომავლოდ”.

სოფლებში შეხვედრებზე ადგილობრივ ხელისუფლებას მუდმივად ახლავს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები. სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა მამუკა კვანტალიანმა ტოლების თემში სწორედ იმ აქცენტებზე გაამახვილა ყურადღება, რაც დღეისათვის ნოლის მოსახლეობისათვის პრიორიტეტულია.

ფაროსანას მავნებლობა, უმუშევრობა, გზის, წყლის და სხვადასხვა სოციალური პრობლემები ნოლაშიც გახდა გლეხობისა და ხელისუფლებასთან მწვავე დიალოგის მთავარი საკითხები. თუმცა შეხვედრის მონაწილეთა შორის ისეთებიც აღმოჩნდენ, რომლებიც გაჭირვებას ადამიანთა გაზარმაცებას უკავშირებენ, თვლიან, რომ ხელისუფლებისგან მხარდაჭერას თავიანთი სიბეჯითე უნდა მიმატონ და წინსვლაც ექნებათ.

გუნდთან ერთად მუნიციპალიტეტის შემოვლა ვალერიანე ფოცხვერიამ ერთი თვეა, რაც დაიწყო. შეხვედრებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მანამდე გააგრძელებენ, ვიდრე მთელ რაიონს არ მოიცავენ.

# ახალი წლიდან პენსიები მატულობს, მაგრამ...

ახალი 2019 წლიდან პენსიები 20 ლარით გაიზრდება და 180 ლარის ნაცვლად 200 ლარი იქნება.

ამ მიმართულებით ბიუჯეტი 2019 წელს 1925 მილიონ ლარს დახარჯავს. პენსიების შემდგომი 20 ლარიანი მატება 2020 წლის 1-ლი იანვრიდან იგეგმება.

უდავოდ სასიხარულოა ეს ინფორმაცია, განსაკუთრებით ხანდაზმულ პენსიონერთათვის, მაგრამ...

მაგრამ მეტი თუ არა, დამაფიქრებელია მეორე ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, საწვავის გაძვირების გამო, პროდუქტზე ფასების 4-5% ზრდაა ნავარაუდევი.

ამაზრზენია ერთი გარემოებაც. ცენტრალურ გაზეთებში, გვარ-სახელებისა და თანამდებობების მითითებით, არაერთი მაღალჩინოსანია დასახელებული, რომელთა ერთი თვის ხელფასი იმდენივეა, რამდენიც რიგი შპს-ეებისა და ააიპ-ების წლიური ბიუჯეტი.

ჩვენ სახელს ვერ ვპოულობთ, თქვენ რას დაარქმევდით ასეთ საფინანსო პოლიტიკას?

ლევან გაბეჩავა

# კომისიამ მორიგი სხდომა გამართა

მორიგი სხდომა გამართა 3 ოქტომბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მიმნიჭებელმა კომისიამ, რომელსაც ამ კომისიის თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა.

განიხილეს საკითხი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მისანიჭებელ კომისიის სხდომაზე განსახილველად წარმოსადგენი კანდიდატების დოკუმენტაციის მიღების ვადის ცვლილებას რომ შეეხებოდა.

კერძოდ, მიზანშეწონილად მიიჩნიეს სამტრედიის მუნიციპალიტეტში ჩასატარებელი ღონისძიებები “ნიკოობა”, “სამტრედობა” ნაცვლად ოქტომბრისა, ჩატარდეს ნოემბრის თვეში.

ასევე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 14 სექტემბრის №37 1299 ბრძანებით (“სამტრედიის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს მიმნიჭებელი კომისიის შექმნის შესახებ”) შექმნილი კომისიის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი კანდიდატების შესახებ, დოკუმენტაციის მიღების ვადა ნაცვლად 2 ოქტომბრისა გადაიწიოს 19 ოქტომბრამდე (ჩათვლით). კომისიამ განიხილა რიგი საორგანიზაციო საკითხები, რომლებიც ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებას ითვალისწინებს.

ლევან გაბეჩავა

ნათია ნაცვლიშვილი

“ევროპული საქართველოს” პრეზიდენტობის კანდიდატი, დავით ბაქრაძე, მხარდამჭერებს ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დარბაზში შეხვდა და წინასარჩევნო დაპირებები გააცნო. სამტრედიაში ბაქრაძე ქუთაისიდან ჩამოვიდა, სადაც მსგავსი ფორმატით ის სტუდენტებს შეხვდა. გამომსვლელმა მხარდამჭერებს მრავალგზის გადაუხადა მადლობა თანადგომისათვის და განაცხადა: “ამ ექვსმა წელმა მოიტანა მეტი გაჭირვება, მეტი პრობლემა და უკუსვლა, ამიტომ აუცილებლად უნდა მივიდეთ არჩევნებზე, ბევრს აქვს შიში, თუ რას მოიტანს ცვლილებები, ეშინიათ რევანშის, დაპირისპირების და შურისძიების. მინდა გითხრათ, ცვლილებები არ მოიტანს არეულობას. _ ჩვენ თუ არ ვიქნებით, იქნება დაპირისპირებაო, ჩვენ თუ გაგვიშვებთ, არიქა, არეულობა და ომი იქნებაო, _ ამით აშინებს დღეს ხელისუფლება ხალხს, მკაფიოდ უნდა ვთქვათ: ჩვენ ვართ პოლიტიკური ძალა, რომელიც ქვეყანაში მკვეთრ ცვლილებებს განვახორციელებთ, ეს იქნება ცვლილება არა უარესი ცხოვრებისათვის. არჩევნები ცვლის ცხოვრებას, თითოეულ ადამიანს უნდა ვუთხრათ, არჩევნებზე არწასვლით მთავრობას კი არ სჯი, ასაჩუქრებ! იქ არმისული ადამიანი არის მთავრობის ჯიბეში წასული ხმა! არჩევნებზე მარტო კმაყოფილი ადამიანი კი არ უნდა წავიდეს, ყველა გაჭირვებული, მოტყუებული უნდა წავიდეს, ვისაც უკეთესი ცხოვრება უნდა! ცხოვრების გამოსწორების ერთადერთი გზა არის ის, რომ ჩვენი პრობლემა მივიტანოთ საარჩევნო ყუთთან! მაინც გაგვიყალბებენო, ვინც ფიქრობთ, გეტყვით, რომ ყველა ხმას დავიცავთ, არ გავაყალბებინებთ!”

პოლიტიკოსი ასევე შეეხო ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების თემას და საჯარო სამსახურში დასაქმებულებს მოუწოდა, ნურცერთ პოლიტიკურ ლიდერს ნუ შეეკამათებიან, რომელთაც მათი მოლოდინი გააცრუეს, უბრალოდ, საარჩევნო ყუთთან მისულებმა გააკეთონ არჩევანი. პრეზიდენტობის კანდიდატმა პარალელი წარსულთან გაავლო და აღნიშნა: “ხალხს რა შეგვიძლია? 2003 წელს შევარდნაძე ჯიბეში ჩაისვამდა მთელ “ქართულ ოცნებას”, რა, გამგებლები არ ჰყავდა თუ პოლიცია? რომ თქვა ხალხმა არა! ხალხის ნება იყო უზენაესი! რა, შევარდნაძეს თუ მოერია ხალხი, ეგენი იმათზე ჭკვიანები არიან? ჩვენ არ ვცდილობდით, რომ მოგვეგო? მაგრამ თუ 2003 წელს შევარდნაძე გამოვიყვანეთ და 2012 წელს ჩვენ გამოგვიყვანეს კაბინეტებიდან, რაღა ახლა ვერ მოვერევით? ეს ხუმრობით! ხალხის წინააღმდეგ წასვლა არ არსებობს, ვერავინ წავა ხალხის ნების წინააღმდეგ!”

ბაქრაძის თქმით, მითია, თითქოს პრეზიდენტი უუფლებოა და მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია. მან აღნიშნა, რომ საქართველოს კუთხეებში არჩევნებისწინა მოგზაურობისას მთავარი პრობლემა, რომელსაც წააწყდა, ყოველი მეოთხე სახლიდან უცხოეთში ლუკმაპურისთვის გაქცეული დიასახლისია. კაცები მეპატიჟებიან და იქვე დააყოლებენ: უქალო ოჯახია და რით გიმასპინძლოთო? დავით ბაქრაძის ხედვა ასეთია: “ვიდრე ამ ხალხს დავაბრუნებთ, მათი პირველი დახმარება იქნება ლეგალური სტატუსის მიცემა მათთვის, თუ არალეგალს უხდიან ანაზღაურების სახით 500 ევროს, ლეგალი მიიღებს 1000-ს. ეს იქნება შეღავათი ასობით ათასი ოჯახისათვის! ამას გარდა, ჩვენს საპარლამენტო გუნდს მომზადებული გვაქვს რეფორმის გეგმა, რომლის თანახმადაც, 8000 სტუდენტით მეტი მიიღებს დაფინანსებას! ხშირად მსაყვედურობენ, რატომ ლაპარაკობ სოციალურ დახმარებაზე და პენსიაზე, ეს ხომ პრეზიდენტის საქმე არ არისო? მაჩვენეთ კანონი, რომელიც ქვეყნის ლიდერს უკრძალავს, იზრუნოს იმ პენსიონერის ბედზე, წამალს რომ ვერ ყიდულობს! ჩვენ არ გპირდებით სასწაულს, ვინც არჩევნებზე სასწაულს ელით, ნუ მომცემთ ხმას, გპირდებით, ჩემი არჩევის შემდეგ დღედაღამ ვიმუშავებ, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წავიდეთ, 28 ოქტომბერს მომეცით ხმა, ხოლო, 29 ოქტომბრიდან დაპირებების ასრულება მომთხოვეთ, და თუ ამას არ გავაკეთებ, ტყავი გამაძვრეთ და გამომაგდეთ კაბინეტიდან!”

## საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში გაზეთი “სამტრედიის მაცნე” იხელმძღვანელებს საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და “საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, საარჩევნო სუბიექტები გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 4 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი, რომლის ღირებულება 200 ლარს შეადგენს.

# კვირეულის ფარგლებში

1-8 ოქტომბერს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალმა აღნიშნა ხანდაზმულთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული.

8 ოქტომბერს, კვირეულის ფარგლებში, ფილიალის ინიციატივითა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მორიგი სოციალური აქცია ჩატარდა. აქციას ესწრებოდნენ: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მერის მოადგილე დავით ბახტაძე, მოხალისეები და ფილიალის თანამშრომლები. ღონისძიების მონაწილეები სამტრედიის სათნოების სახლს ესტუმრნენ, იქ მყოფ ბენეფიციარებს მიულოცეს ხანდაზმულთა დღე, გადასცეს ტკბილეული, სურსათი და ჰიგიენური ამანათები. მოხალისეებმა კონცერტიც გაუმართეს მოხუცებს. შეასრულეს მუსიკალური ნომრები და წაიკითხეს ლექსები. ხანდაზმულებმა მადლიერება გამოხატეს და სიხარულით მიიღეს სტუმრები. შეხვედრამ ძალიან თბილად და ემოციურად ჩაიარა.

სწჯს სამტრედიის ფილიალი მადლობას უხდის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას აქტიური თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის, ყველა მოხალისეს თანადგომისა და გულისხმიერებისათვის.

***ნათია პაპავა***
***საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების***
***სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი მდივანი***

# “სახლი თანადგომას” საჩუქრები დღეგრძელ მოხუცებს

ნათია ნაცვლიშვილი

დღეგრძელ მოხუცთა დღე მსოფლიოში პირველ ოქტომბერს აღინიშნება, 100 წლის თამარ ჩიხლაძე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახლი “თანადგომას” წარმომადგენლებმა სწორედ ამ დღეს მოინახულეს და საკვები პროდუქტები გადასცეს. სოფელ ჭაგნის მკვიდრი ქალბატონი სტუმრებს ღიმილითა და სიყვარულით შეეგება, დალოცა კეთილის მსურველები და ყველას მადლობა გადაუხადა. ეს ქალბატონი “სამტრედიის მაცნეს” ძველი გვარდიის ერთ-ერთი უღირსეულესი წარმომადგენლის, ჟურნალისტ კორნელი ჩიხლაძის და არის და ამდენად, მისადმი განსაკუთრებული სითბოს გამოხატვაც გვმართებს. მხცოვან ქალბატონს 3 შვილი, 9 შვილიშვილი და 6 შვილთაშვილი ჰყავს. “სახლი თანადგომას” დირექტორი, მზევინარ ბოხუა განსაკუთრებული სითბოთი მოეფერა მოხუც ქალბატონს, საზეიმო თარიღი მიულოცა და ჯანმრთელობა უსურვა. ამ კეთილი საქმისათვის სტუმრებს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ოჯახის დიასახლისმა მანანა არველაძემ. მეორე ასწლოვანი ქალბატონი, რომლის საიუბილეო სუფრას 2 აგვისტოს “სათნოების სახლში” თვით ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, მამუკა ბახტაძეც დესწრო, გალინა ზაქრაძეა. ქალბატონ გალინას “სათნოების სახლის” წარმომადგენლები კვლავ საჩუქრებით ეწვივნენ _ საკვები პროდუქტები მიუტანეს. ამ სახლის ბენეფიციარი ქალბატონი დღემდე ვერ გამოსულა იმ იუბილეს შთაბეჭდილებებიდან, სტუმრებს მადლობა მოახსენა და აღნიშნა, რომ მეუფე საბას ძალიან ემადლიერება დაბადების დღის გრანდიოზული აღნიშვნის გამო. მან ასევე კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება “სათნოების სახლის” პერსონალის მიმართ.

‘ჩვენთან დღესდღეობით 20 ბენეფიციარია, მართლაც პირველი შემთხვევაა, რომ ჩვენთან მყოფ მოხუცს 100 წელი შეუსრულდა, ქალბატონი გალინას ოჯახის წევრებთან ერთად, ყველა უდიდეს თანადგომას გამოხატავს მისადმი, მადლობა სახლ “თანადგომას”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას”. _ გვითხრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის “სათნოების სახლის” დირექტორის მოადგილე ნათია კუპრეიშვილმა.

მესამე ასწლოვანი მოხუცი, სოფელ გორმაღლის მკვიდრი, ქეთო ბუბუტეიშვილია. “სახლი თანადგომამ” საკვები პროდუქტებით ქალბატონი ქეთოც დაასაჩუქრა. მოხუცმა ქალბატონმა მადლიერების სიტყვები არ დაიშურა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და “სახლი თანადგომას” მიმართ.

# "ჯეო ჰოსპიტალსი" უფასო გამოკვლევებს აგრძელებს

თეა ბაბუნაშვილი

მორიგი აქცია, უფასო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ფარგლებში, "ჯეო ჰოსპიტალსმა" ეწერში გამართა. სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებმა სოფლის მოსახლეობას თითქმის ყველა სახის გამოკვლევა უფასოდ ჩაუტარეს. სხვა სოფლების შემდეგ, ეს "ჯეო ჰოსპიტალსის" დაპირებული კიდევ ერთი აქცია გახლავთ. კარდიოლოგი, ოფთალმოლოგი, ნევროპათოლოგი, თერაპევტი, ტრავმატოლოგი, ანგიოქირურგი, ქირურგი, ოტორინოლარინგოლოგი, ჰედიატრი, ექოსკოპიური გამოკვლევები _ ყველა ამ პროფილის პაციენტებს კვალიფიციური დახმარება აღმოუჩინეს. მიმართვიანობა საკმაოდ მაღალი გახლდათ, სოფლის მოსახლეობა კმაყოფილებას გამოთქვამდა ამ ინიციატივით და აკონკრეტებდა, რომ მიუხედავად საყოველთაო დაზღვევისა, სხვადასხვა სტაციონარში რიგების გამო უფრო მოსახერხებელია მათთვის ექიმებთან ამგვარი ვიზიტი. გამოვლინდა რამდენიმე საოპერაციო და შემდგომი კვლევის საჭიროების პაციენტი. "ძირითადად ის პათოლოგიები გამოვლინდა, რომელსაც პაციენტები, ასე თუ ისე, ეგუებიან და ექიმს არ მიმართავენ. რაც შეეხება აქციებს, ისინი "ჯეო ჰოსპიტალსის" კეთილი ნებით პერმანენტულად გაგრძელდება." _ აღნიშნა "ჯეო ჰოსპიტალსის" ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორმა ლელა ხურციძემ.

პროცესს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, მერი ვალერიანე ფოცხვერია და მისი მოადგილე დავით ბახტაძე ესწრებოდნენ. მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია გაზაფხულზე დაწყებული და აქამდე მიმდინარე, მოსახლეობისთვის საკეთილდღეო ამ აქციების გამო, კიდევ ერთხელ უხდიდა მადლობას აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებას: "ჯანდაცვის სამინისტროს არაერთი კარგი ინიციატივის მიუხედავად, ამგვარი უფასო გამოკვლევები მისწრებაა ჩვენი შეჭირვებული მოსახლეობისთვის. მადლობა "ჯეო ჰოსპიტალსს!" რაც შეეხება სოფლების შერჩევას, ვმოქმედებთ პრინციპით _ ერთი სოფელი მაღალმთიანი, ეგრეთ წოდებული გაღმა ზონიდან, მერე მას ბარის სოფელი მოჰყვება. როგორც ვიცი, აქცია კვლავ გაგრძელდება, და მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს მოიცავს. უფრო ხშირად ადგილობრივი მერია მიმართავს მსგავს დაწესებულებებს ასეთი მოთხოვნებით, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა "ჯეო ჰოსპიტალსმა" თავად მოგვმართა ამ კეთილშობილური აქციის ორგანიზებისთვის." მის ამ სიტყვებზე ლელა ხურციძემ დასძინა: "ჩვენთვის, ერთი კლინიკისთვის ძალიან ძნელია მოსახლეობის ინფორმირება, ძნელია ადგილის გამოყოფა, სადაც ამ რაოდენობის პაციენტის მიღება იქნება შესაძლებელი. მადლობა ადგილობრივ თვითმმართველობას მის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისთვის."

იმ დღეს კონსულტაცია, დაახლოებით, 100-მა პაციენტმა გაიარა. გამოვლინდა რამდენიმე საოპერაციო და რამდენიმე ისეთი პაციენტი, შემდგომ გაღრმავებულ დიაგნოსტიკურ კვლევებს რომ საჭიროებდა

# მართლაც არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები

ლევან გაბეჩავა

არტ-თერაპია ექსპრესიული ფსიქოთერაპიული მეთოდია, რომელსაც მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვთან მისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო კომუნიკაციის დამყარება ვერ ხერხდება.

2 ოქტომბერს სამტრედიაში, "მომავლის პარკში", განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის ინიციატივით გაიმართა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალის" მიერ დაფინანსებული პროექტის "არტ-თერაპიის კურსები სამტრედიის შშმ ბავშვთა დღის ცენტრისათვის" შემაჯამებელი ღონისძიება.

პროექტი ნახევარი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მიზნად ისახავდა 15 შშმ ბავშვის არტ-თერაპიის კურსში ჩართვას.

თიხასა და ქვიშაზე მუშაობამ, ქაღალდზე, ტილოსა და კედელზე ხატვამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბენეფიციარების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, მათი უნარების გაუმჯობესებას, აღნიშნეს პროექტში ჩართულმა იმ პირებმა, რომლებიც უშუალოდ ადევნებდნენ თვალყურს თითოეულ შშმ ბავშვის აქტივობას.

"მომავლის პარკში" იმ ერთ ჩვეულებრივ დღეს საკუთარი ნამუშევრები გამოეფინათ შშმ ბავშვთა დღის ცენტრ "ლამპარის" ბენეფიციარებს. არც შემთხვევითი დამთვალიერებლები დარჩენილა გულგრილი მათი ნამუშევრებით და არც მერიისა და საკრებულოს, მეგობარი და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ.

გაირკვა, რომ ჩვენს ქალაქშიც არსებულან კეთილი ადამიანები, ჩუმად, აფიშირების გარეშე რომ უდგანან გვერდში შშმ ბავშვებს და დახმარებას უწევენ დღის ცენტრ "ლამპარის" ბენეფიციარებს. გულში ვერდატეულმა მადლიერებამ მაინც გაიჟღერა და ჩვენც შევიტყვეთ, მუნიციპალიტეტის მერი და მერის მოადგილე, ვალერიანე ფოცხვერია, დავით ბახტაძე, სოციალური სამსახურის უფროსი ლევან ახობაძე, საკრებულოს წევრი ტარიელ დვალიშვილი და სხვები განსაკუთრებულ მზრუნველობას რომ იჩენენ დღის ცენტრის ბენეფიციარებისადმი. ყველა ჩვენგანის მოვალეობაა ამ ბავშვებისადმი თანადგომა. _ მოკლედ გვითხრა საკრებულოს წევრმა, ბატონმა ტარიელ დვალიშვილმა.

კეთილ სურვილებს ეს კალათა ნამდვილად ვერ დაიტევსო, ეს სიტყვები ბატონმა ტარიელმა მაშინ თქვა, როცა იმ დღის ორგანიზატორებმა დამსწრეთ თხოვეს, თავიანთი სურვილები დაეწერათ, რომლებიც შემდეგ სამახსოვროდ კალათაში მოთავსდებოდა. და მართლაც, პირველი წრფელი სურვილი, კეთილად ახდენის იმედით მუნიციპალიტეტის მერმა დაიფიქსირა, მერე სხვებმაც და... მართლაც, ყველა იქ მდგომს გაუჩნდა სურვილი იმისა, რომ უფრო ახლოს გაეცნონ ამ ბავშვებს, დაამყარონ მათთან მეგობრული ურთიერთობები, რამეთუ სწორედ კომუნიკაციებს შეუძლია მათ ფსიქიკაზე ყველაზე მეტად დადებითი ეფექტის მოხდენა.

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მერის მოადგილე დავით ბახტაძე, დღის ცენტრ "ლამპარისა" და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალის" წარმომადგენლები მეტ სითბოს, კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტებსა და ხალისიან დღეებს დაჰპირდნენ ლამაზი ნამუშევრების საოცრად ლამაზ ავტორებს.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ამ დღეს, რომ მართლაც არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები.

ერთობლივი სამახსოვრო ფოტო გადაიღეს ბოლოს შეკრებილებმა.

# რა ხელმა შექმნა ეს ლამაზი?

ლევან გაბეჩავა

უნიჭიერესი რეჟისორისა და მსახიობის, ქალბატონ ლორიტა ჯორჯიკიას, შემოქმედებაზე მრავალჯერ დაწერილა და კვლავაც დაიწერება. ამჯერად მის ერთ კეთილშობილურ ქმედებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, თუნდაც იმდენად, რომ იქნებ სხვებმაც მიბაძონ და...

არცთუ დიდი ხნის წინ, ჭავჭავაძის ქუჩაზე ერთ-ერთი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე სილამაზის სალონი "ლორიტა" გაიხსნა. ამაში განსაკუთრებული არაფერია გარდა იმისა, რომ მისმა მეპატრონემ ოფისის წინ შესანიშნავი ბაღი გააშენა ლამაზი ყვავილებით. როგორც სხვაგან, წინათ აქაც სარეველა ბალახები "იწონებდნენ" თავს, ამჯერად კი ერთ რამედ ღირს ამ ლამაზი ადგილის ხილვა. მეზობელმა ქალბატონმა მხარი აუბა ქალბატონ ლორიტას და მისი ბინის წინაც ანალოგიური ბაღია გაშენებული.

ახლა გონების თვალით შევხედოთ, რა მშვენიერი და ლამაზი იქნებოდა ჩვენი ქალაქი, ყველა კერძო ობიექტის წინ ასეთი ბაღი თუ არა, სისუფთავე მაინც რომ იყოს.

უთუოდ მისაბაძია ქალბატონი ლორიტა ჯორჯიკიას საქციელი.

# ფანქრით მოხაზულ კონტურებში

თეა ბაბუნაშვილი

ვინ იცის, მერამდენედ მიუხვ-მოუხვია ატალახებულმა ვიწრო, სოფლურმა გზამ. სულ უფრო მაღლა მიიწევდა მთაზე, იქ, სადაც გავიწყდება ქვემოდან ამოტანილი შფოთი და მშვიდდება მოუსვენრობა.

იმ მთის წვერზე ზანდოს მონასტერია, ცრემლს მოყოლილი იმედის დაბადების ადგილი. "გამოჩნდაო", მშენებარე ტაძარზე აღტაცებით დაუძახნიათ და ასე "გამოჩნდა" სოფელი გამოჩინებული სამზეოზე. სანდო მთად მონათლულ ამ მთაზე საუკუნეები ითვლიან მონასტრის ზარების რეკვას. მერე _ ურწმუნოების 70 წელი. მდუმარედ ელოდნენ ჟამთასვლას კედლის ფრაგმენტებად შემორჩენილი ფრესკები ზარების გუგუნს. თუმცა, მაშინაც ნახავდით რწმენის ამ ნაფლეთებთან მალულად მლოცველს. უკვე არაერთი წელია, აქეთ მოიწევს რწმენის ბილიკები, მოიწევს ხმაურით, მოკრძალებით, დუმილით, ფეხშიშველი თუ შემოსილი, მოიწევს აღდგენილი მამათა მონასტრის მყუდროებას შესაფარებლად. მიუყვები მწვანეშეპარულ ყვითელ პეიზაჟს და არაცივილური აზრი გებადება _ ამ ვიწრო გზას თუ ორღობეს, ეზედმეტება ასფალტი და საგზაო კომფორტი, რადგან მერე სული ველარ ისალბუნებს პირველყოფილი სიმშვიდით.

დილის ნამი ჯერ ისევ არ შეშრობოდა ბალახს. უჩვეულო ამბავი ხდებოდა ზანდოს მამათა მონასტრის ეზოში. პატარ-პატარა ხალიჩები შეფენოდა ხეების ჩრდილს. გოგო-ბიჭები ფეხმორთხმით მოკალათებულიყვნენ ამ ფერად ხალიჩებზე და ფანქრით თუ პასტელით მოლბერტებს უმხელდნენ აფერადებულ იდუმალებას თვალგარინდულ ნაახრევს.

თითქმის ყველამ ტაძრის კონტურები მოხაზა, ფერებში გაშალეს და მხატვრულ ტილოებად აქციეს. ევროპის კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ეს ღონისძიება ადგილობრივი მერიის კულტურის სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა. როგორც კულტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნათია გოგოძე ჰყვება, მას შემდეგ, რაც 2018 წლის თემად გაზიარების ხელოვნება დასახელდა, "კულტურის სამინისტროს მივაწოდეთ იდეა, რომ ზანდოს მთაზე ამოვიყვანდით ბავშვებს და მათთვის მიცემულ ერთ საათში საკუთარ ნაახრევს ფურცელზე გადაიტანდნენ. ამჟამად აქ სამხატვრო სკოლა-გალერეისა და წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეები არიან. მართლმადიდებლურ სკოლაში ხატწერას ასწავლიან. ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ იქაური მოსწავლეების ამ პროექტში ჩართვა. ჩვენი სამსახურის და მისი ხელმძღვანელის, ნატალია მანჯგალაძის ხელშეწყობით ორგანიზებული ეს ღონისძიება, ევროპის კვირეულის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის ხასიათს ზუსტად ასახავს. შეგახსენებთ, რომ კვირეულის ფარგლებში პროექტის თემა გაზრების ხელოვნებაა, რომელიც აღქმას, გაზიარებასა და გადმოცემას მოიაზრებს."

ნორჩი მხატვრების სანახავად მუნიციპალიტეტის მერი ხელდამშვენებული ჩავიდა. ყველა მათგანს მცირედი სამახსოვრო საჩუქარი გადაეცა ვალერიანე ფოცხვერიასგან. აღნიშნა კიდეც მუნიციპალიტეტის მერმა, რომ: "ძალიან საინტერესო იდეაა, ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფარგლებში მიმდინარე ამ პროექტის განხორციელება სამტრედიაში ადგილობრივი კულტურის სამსახურის ორგანიზებით მოხდა. იდეა ნათია გოგოძეს ეკუთვნოდა, რომელიც მართალი გითხრათ, ძალიან მომეწონა. მსგავსი ღონისძიებები ჩვენგან ყოველთვის მხარდაჭერილი იქნება."

დაჯილდოებისას და ნიშანდობლივია, რომ ჯილდო წიგნები გახლდათ, ახალგაზრდულმა ხმებმა გაამხიარულა იქაური იდუმალება. ბოლოს კი სამახსოვრო ფოტო იმ ლამაზი დღის სახსოვრად დარჩათ მხატვარ გოგო-ბიჭებს.

# "ამ პროექტის შემდეგ იურისტობა გადავწყვიტე"

ნათია ნაცვლიშვილი

ტოლების საჯარო სკოლა ჩვენი ყურადღების ორბიტაში სულ ცოტა ხნის წინ მოექცა, როცა მუსიკალური კონკურსის გამარჯვებულ მეთერთმეტეკლასელ ლეილუკა რუხაძეზე ვწერდით. ამჯერად მისი თანაკლასელის, ლიკა დევაძის წარმატება უნდა ვაუწყოთ მკითხველს. ლიკა სოციალურ ქსელში წააწყდა ინფორმაციას, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია "DC LEGAL" მოსწავლეებს საინტერესო კონკურსში მონაწილეობას სთავაზობდა. ეს ორგანიზაციის პირველი პროექტია, პროექტის სახელწოდებაა "იმიტირებული სასამართლო პროცესი სისხლის სამართალში". იურიდიული ტერმინოლოგიის კარგად ასათვისებლად მოსწავლეებს რამდენიმე ტრენინგი დასჭირდათ, მათ საოცრად საინტერესო პროცესებიც გამართეს და დიპლომებიც და ფასიანი საჩუქრებიც დაიმსახურეს.

30 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა ფინალური ტური სისხლის სამართლის იმიტირებულ პროცესში, ფინალში მოხვედრილ ორ საუკეთესო _ ქუთაისის და სამტრედიის გუნდებს შორის პირველობა ქუთაისის გუნდმა მოიპოვა, ხოლო ნომინაციაში "საუკეთესო მონაწილე" გაიმარჯვა სოფელ ტოლების საჯარო სკოლის მოსწავლე ლიკა დევაძემ. ნომინაციის "დაკითხვების დიდოსტატი" გამარჯვებული კი, ქუთაისის მეშვიდე საჯარო სკოლის მოსწავლეა. ლიკა დევაძე: "კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დავრეგისტრირდით დათო დუმბაძე, მეგი ვაჩეიშვილი, ლიკა ქაშაკაშვილი და მე. ერთი გუნდი 4 მოსწავლისგან შედგებოდა, ორგანიზაციის წარმომადგენელმა ბექა ფოცხვერიამ ორი ძალიან საინტერესო და ბევრის მომცველი ტრენინგი ჩაგვიტარა სკოლა "ცოდნაში," ტრენინგს დაესწრნენ ასევე, კონკურსის სხვა მონაწილენი. სამტრედია ამ კონკურსში ორი გუნდით იყო წარმოდგენილი, ჩვენი სკოლის დირექტორმა მარინა ხუჭუამ რომ შეიტყო კონკურსში ჩვენი მონაწილეობის შესახებ, ძალიან გაუხარდა. ასევე, ყველა პედაგოგს უდიდესი მხარდაჭერისათვის მინდა მადლობა გადავუხადო. იმიტირებული პროცესები ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა, ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ მოსამართლეები და არასამთავრობო ორგანიზაციის მესვეურნი. სულ მონაწილეობდა ორი სამტრედიის და ორიც ქუთაისის სკოლების მოსწავლეთა გუნდი. ჩვენ პირველ ტურში წარმოვადგენდით დაცვის მხარეს და გვევალებოდა, ბრალდებულს დავხმარებოდით, რათა ის ბრალდებას უდანაშაულოდ ეცნო. მას ბრალად ედებოდა მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებით. საბედნიეროდ, ჩვენ დავამტკიცეთ მისი უდანაშაულობა და გადავედით ფინალურ ტურში. აქ შევხვდით ქუთაისის მეორე გუნდს, უკვე მოგვიწია, ბრალდების მხარე ვყოფილიყავით, აქ კი ამოცანა საგრძნობლად გართულდა. მიუხედავად იმისა, წავაგეთ, თავს წაგებულად არ მივიჩნევთ, რადგან უდიდესი გამოცდილება მივიღეთ ამ პროექტში მონაწილეობით. ფინალურ ტურში ბექა ფოცხვერიამ კონკურსის საუკეთესო მონაწილედ რომ დამასახელა, ვერ დავიჯერე ჩემი გამარჯვება. განსაკუთრებით ემოციური მომენტი იყო, როცა თვალებახვეული თემიდას სტატუეტი საჩუქრად გადმომცეს. ეს ორგანიზაცია მომავალში სხვა არაერთი პროექტის განხორციელებას აპირებს და ყველა მოსწავლეს მოვუწოდებ, მონაწილეობა მიიღოს მსგავს საინტერესო კონკურსში. ამ პროექტის შემდეგ საკუთარ თავს ჩავუღრმავდი, ბევრი რამ შევიმეცნე და იქამდეც მივედი, რომ გადავწყვიტე, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარო."

ტოლების საჯარო სკოლის დირექტორი მარინა ხუჭუა: "ჩვენი სკოლის მეთერთმეტეკლასელები სხვა ბავშვებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდულ საგანმანათლებლო პროექტებში, "მომავლის თაობის" პროექტში მონაწილეობამ მათ ბევრი გამოცდილება შესძინა, ისინი დამოუკიდებლად მოაზროვნეები გახდნენ, მათი ინიციატივით განხორციელდა სხვადასხვა შიდასასკოლო ღონისძიება, ჩაატარეს ტრენინგები ბავშვთა უფლებების თემაზე, მოაწყვეს ფილმის ჩვენება, ჩატარდა ღონისძიება თამბაქოსა და ალკოჰოლის მავნებლობაზე, მათივე ინიციატივით გამოცხადდა დასუფთავების დღე, მეთერთმეტეკლასელები ლიკა დევაძის ხელმძღვანელობით ცდილობენ, ჩაერთონ სხვადასხვა პროექტებში. ახლახან ჩვენი მოსწავლეები კვლავ დასაჩუქრდნენ ორგანიზაცია "DC LEGAL-ის" მიერ წარმატებული მონაწილეობისათვის. ეს ბავშვები კვლავ აპირებენ მსგავს პროექტებში მონაწილეობას".

# ჭართული იუმორის უკუნითელი სული რომ არ შეშალოს

თეა ბაბუნაშვილი

*აგერ მეზობლადაა, კარის ყურეში, აქედან რომ გადავძახო, იქედან მიპასუხებენ, თუმცა, ხონში სულ ორჯერ გახლავართ ნამყოფი, ისიც გვლით. დიახ, სასაცილოდ დაუჯერებელია, მაგრამ ასეა. იმ დღეს, ხონს რომ ვესტუმრე, ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერი ჩემი წითელდიპლომიანი თანაკურსელისა და ჯგუფელის, მონატრებული გურანდა ცაგურიას ნახვის და მეგზურობის იმედიც მქონდა. ხუმრობა საქმე ხომ არაა, იმერეთის მასშტაბით გამართულ იუმორისტულ ფესტივალზე ჩამოვედით სამტრედიელები, უკვე მეორედ რომ მასპინძლობს იპოლიტე ხვიჩიას მშობლიური რაიონი. თუ ხონი იპოლიტეთი და პოლიკარპე კაკაბაძით მოიწონებს თავს, და სამართლიანადაც, სამტრედიას ერისი მანჯგალაძე და აკაკი კვანტალიანი, სხვა არაერთთან ერთად, სიამაყის საბაბს გვაძლევს. ყველას ერთად კი იმერეთი გვაერთიანებს და... ერთი სიტყვით, "კარგი იყო არ გამეცან თავიდან..." ისე მოეწონა უძველესი ხონი, მისი კულტურის ცენტრიცა და იქ გამართული იუმორისტული ფესტივალიც, ვინძლო, ყოველ წელს გავხდე მისი სტუმარი!*

*თავმოწონების საბაბი ისიც გახლდათ სამტრედიელებისთვის, რომ გასული წლის გამარჯვეპულის, პირველი ადგილის მფლობელის რანგში ეწვია სამტრედიის მინიატურების თეატრი ფესტივალს.*

---

სანამ სცენიდან ცრემლებამდე მისული სიცილი გაისმებოდა, ხონის კულტურის ცენტრის წინ, საპატიო სტუმრებისა და დამსწრე საზოგადოების თანდასწრებით, ფესტივალის ორგანიზატორებმა იპოლიტე ხვიჩიას ძეგლის გვერდით საქვეყნოდ ცნობილი დრამატურგის, პოლიკარპე კაკაბაძის მონუმენტი გახსნეს. ისიც აღნიშნეს, რომ უკვდავი "ყვარყვარე თუთაბერი", ყველა დროსა და ეპოქას რომ ირგებს, აქვე ახლოს, ქუთაისში შეიქმნა.

განსაკუთრებულად ემზადებოდა ამ დღისთვის ხონის კულტურის ცენტრი, რომელსაც ქალბატონი მინერი ონიანი ხელმძღვანელობს. ფესტივალის ზედმიწევნით ნოვატორული და კარგი ორგანიზება სწორედ მისი დამსახურებაა. ღონისძიების წაყვანის პატივი პოეტსა და რეჟისორს, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, "ღირსების დარბაზის" თავმჯდომარეს, ირმა ქურასბედიანს ერგო.

ფესტივალის სტუმრებს შორის სხვებთან ერთად ბატონები, თემურ ძიძიგური, ალექსანდრე შენგელია, ალექსანდრე ძაგნიძე და კიდევ ბევრი სხვა ის ადამიანი იყო, საკუთარ სიტყვას რომ ამბობენ ქართული იუმორის სიჯანსაღისთვის.

შარშან იუმორისტული ფერსტივალის დაარსების პირველი წელი გახლდათ. იპოლიტეს ძეგლმა, გიორგი კიკვიძის ავტორობით, ამ მოვლენის გამოც დაიდო ბინა ხონის კულტურის სახლის წინ. მეორე საფესტივალო წელი იმერულმა ფესტივალმა კვლავ ქუთაისელი მოქანდაკის, გიორგი კიკვაძის მიერ შექმნილი დიდი დრამატურგის მონუმენტით გამოარჩია. მისი გახსნის პატივი ხონის მუნიციპალიტეტის მერს, ლადო ჯურხაძესა და მაჟორიტარ დეპუტატ გივი ჭიჭინაძეს ერგო. მაგრამ სანამ ძეგლს ფარდას ჩამოხსნიდნენ, კონსტანტინე ესტატეს ძე ჩხენკელის სახელობის ხონის კულტურული მემკვიდრეობის აღორძინების ფონდის დამაარსებლისა და ხელმძღვანელის, თინა ჭელიძისგან მადლობები ისმოდა ხონის მუნიციპალიტეტის მერისა და მერიის მისამართით, რომ არა მათი ფინანსური მხარდაჭერა, ბევრი რამ, მათ შორის ძეგლის დადგმაც, შეუძლებელი იქნებოდაო.

წარმოშობით ღანირელი ბენია თხილავა სამტრედიელებს ისევე გვეახლოვება, როგორც სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ღანირი, ეროსი მანჯგალაძის მშობლიური სოფელი. მისი ინიციატივითა და ძალისხმევით ჩამოყალიბებული იუმორის აკადემიის ირგვლივ საუბრისას, ბუნებრივია, აღნიშნა, ვისი სახელობის უნდა ყოფილიყო ქართულ იუმორთან დაკავშირებული ნებისმიერი ფესტივალი თუ კონკურსი, თუ არა იპოლიტე ხვიჩიასი, და სად უნდა ჩატარებულიყო იგი, თუ არა მის მშობლიურ ხონში. ამ დატვირთვის აკადემიის შექმნას სწორედ რომ დროულად მიიჩნევს, რადგან: "ამ ფესტივალის დანიშნულებაა ქართული ფოლკლორი, ქართული ხასიათის საუნჯე წამოწიოს, დაიცვას და განავითაროს. ეს ადვილი საქმე არ არის, იმიტომ, რომ ბოლო დროს ქართულ იუმორს შეეპარა ისეთი რაღაცეები, რაც მას არ ეკადრება. მისთვის არასაკადრისი სენისგან უნდა განვკურნოთ ქართული იუმორი, ეს გახლავთ ფესტივალის მიზანი!"_აღნიშნა პროფესორმა, იპოლიტე ხვიჩიას ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრმა, ჟურნალისტთა კავშირის წევრმა ბენია თხილავამ. მანვე ხაზი გაუსვა, რომ, ჯერჯერობით, იმერეთით შემოიფარგლებიან და ფესტივალში მონაწილეობას იმერეთის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები იღებენ. სამომავლო იმერეთის ფარგლებს გასცდებიან, მით უმეტეს, მონაწილეობის მიღების სურვილი და მცდელობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს უკვე აქვს.

ბუნებრივია, ჟიური კომპეტენტური გახლდათ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის, იუმორისტული წიგნების ავტორის, ალექსანდრე შენგელიას, პლასტიკური ქირურგის, ხელოვანის, მხატვრის, ფოტოგრაფის, იუმორისტული წიგნების ავტორის, თემურ ძიძიგურის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის, მოქანდაკის, ხელოვანის, გიორგი კიკვაძის, ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტის რექტორის, ავთანდილ გვეტაძის მის შემადგენლობაში ყოფნა შეფასების მაღალი სტანდარტის გარანტიას იძლეოდა. მანამ, სანამ უშუალოდ საფესტივალო ნომრებზე გადავიდოდნენ, ხონის კულტურის ცენტრთან არსებულმა ქალთა ანსამბლმა "იამემ" აამა დარბაზში მყოფთა სმენა საკუთარი შესრულებით. დები იშხნელების რეპერტუართან ერთად გიტარის თანხლებით ძველი იმერეთის პეიზაჟები სიმღერით გააცოცხლა სცენიდან. მათთან ერთად "ბაღის კიდის ტრიო" ის ჯგუფი გახლდათ ქალაქური სიმღერით რომ დაატკბო მსმენელი, მით უმეტეს, რომ მის შემადგენლობაში ჟიურის ორი წევრი, გიორგი კიკვაძე და თემურ ძიძიგური მღეროდნენ, ბექა ქებულაძესთან ერთად.

და სანამ მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ "იამე" "სოფელო, ჩემო სოფელოო", ღიღინებდა შრომით თუ სიმღერით ასაშენებელ სოფელზე, ფესტივალის ძირითადი ნაწილიც დაიწყო და თვალცრემლმომდგარი სიცილით დასრულდა ღიმილით ნათქვამი სიმართლის, სარკაზმისა და ჯანსაღი იუმორის გარემოცვაში. ხუნწარიას "მელია", სამტრედიის მინიატურების თეატრის მიერ წარმოდგენილი, ნამდვილად გახდა დარბაზის გულიანი სიცილის მიზეზი.

წელს მესამე ადგილის პრეტენდენტობამ ცოტა გაგვაბრაზა, უფრო სწორად, გაგვაკვირვა სამტრედიელები, რადგან მეტს ველოდით. და არა მხოლოდ ჩვენ, სამტრედიის მესამე საპრიზო ადგილი დარბაზმაც კი გააპროტესტა. სამახსოვრო პრიზი თეატრის ხელმძღვანელს, გია სტურუას გადაეცა. მერე ადგილი ბაღდათელ ახალგაზრდებს ერგოთ, იქაური მხიარულთა და საზრიანთა გუნდიდან. პირველობა ხონელმა "იპოლიტელებმა" არ დათმეს. ფესტივალის აღმოჩენა, ფესტივალის სიმპათია და კიდევ სხვა ბევრი პრიზის მფლობელი დანარჩენი მონაწილეები გახდნენ.

იმ დღეს სიურპრიზი მელოდა თურმე, მოულოდნელი შეხვედრა მომღერალთან, ინტერნეტში შემთხვევით მოსმენილი სიმღერით რომ აღმაფრთოვანა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში შექმნილი ეს სიმღერა, მურმან შათირიშვილისა და ამირან ჩხაიძის მიერ გიტარაზე იმერულად აღიღინებული, მოუბეზრებლად შეიძლება მოისმინოს ნამდვილი ქართული ჰანგის მოტრფიალემ და მისი სილამაზის მცოდნემ. ეს წერილიც ამ სიმღერის "აკომპანიმენტით" იწერება. სცენაზე საკუთარი ნომრის შესრულების შემდეგ მურმან შათირიშვილმა "იმერული ღიღინის" შექმნის პატარა ისტორია გვიამბო, რომ მისი ტექსტი სხვადასხვა ქართველი პოეტების სტროფების ერთობლიობითაა შექმნილი. ამბობს კიდეც: "ქართულ სიმღერაში ლექსი უმთავრესია. ან ლექსი წერს მელოდიას, ან მელოდია ლექსს. ეს გახლავთ ქართული ქალაქური სიმღერის მუსიკალურობის საიდუმლო. დღევანდელ ესტრადაზე არც ეს ხდება ასე, და არც სხვა ბევრი რამ, ქართული სიმღერისთვის დამახასიათებელი. პეტრე გრუზინსკი მახსენდება ზოგიერთი თანამედროვე სიმღერის მოსმენისას, ყველა ტექსტზე კი არ შეიძლება სიმღერაო, რომ ამბობდა. რა მაკვირვებს იცით? ეს ახალგაზრები სუფრასთან უბრალოდ რომ წამოუსვამენ გიტარას ხელს, მშვენივრად მღერიან ქართულად. სცენაზე რა ემართებათ, მეტწილად უცხოურს რომ მღერიან. ის უცხოური, ჯაზი, სოული, იმათი ფოლკლორია და ნუ გაგვიკვირდება, იმათზე უკეთესად რომ ვერ ვიმღეროთ. ჯაზის ქვეყანაში ქართულად სიმღერა გაუჭირდებათ და ძალიან გაუჭირდებათ, რადგან ეს ჩვენია, ფოლკლორიდან წამოსული ქართველობის სული და მას ქართველზე უკეთ ვერავინ განიცდის და წაიღიღინებს. მგონია, რომ ქართული ესტრადისთვის იმდენი არავის გაუკეთებია, რამდენიც სულიკო კოროშინაძემ და ქართულად ისე არავის უმღერია, როგორც ჰამლეტ გონაშვილს."

ეს ერთი წელიც და... მომავალ წელს 80 წლის იუბილეს იზეიმებს მურმან შათირიშვილი, რომლის 80 წელიც მარტო სიმღერაში არ გასულა, ნახევარი საავადმყოფოში გავატარე, 13 ოპერაცია მაქვს გაკეთებულიო, გვითხრა ღიმილით. საოპერაციოში შესვლის წინაც მღეროდა თურმე და ნაოპერაციები ნარკოზიდან გამოსვლისთანავეც. სხვანაირად არ შეეძლო და იმიტომ, სხვანაირად ვერ იცხოვრებდა, 80 წელს ვერ ჩამომარცვლავდა! ეამაყება, ჯემალ ჭკუასელის მიერ ქუთაისში შექმნილი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის პირველივე აფიშაზე თავადაც რომ არის. თუმცა, არა მხოლოდ ეს, საამაყო ბევრი ლამაზი სიმღერაა 80 წლის მურმან შათირიშვილის ბიოგრაფიაში, ვისთან შეხვედრამაც ერთიორად გამოლამაზა ხონში გამართული იმერული იუმორის ფესტივალი.

იუმორის აკადემიის ორგანიზებით მომავალი წელიც იუმორისტული ფესტივალით შეგვახვედრებს ხონს. ისევ იპოლიტე ხვიჩიას სახელობის კულტურის ცენტრი იქნება მასპინძელი და რადგან ჯანსაღი სიცილი ჯანმრთელობის საწინდარია, ქართული იუმორის გასაჯანსაღებლად გულიანად გაიცინებს მაყურებელი დარბაზში, რომლის სცენასაც აღარ შეაწუხებს ნამდვილ ქართულ იუმორს შეპარული მისთვის არასაკადრისი სენი.

# ვიღრე თერთმეტ კლასს არ დაამთავრებენ...

ქეთევან ჭელიძე

*"მომავლის პარკში" ისეთი ჟრიამული იდგა, გამვლელ-გამომვლელს გულგრილს არ ტოვებდა. 70 წელს ვადაცილებული ადამიანები მხიარული შეძახილებით ეგებებოდნენ ერთმანეთს და სიყვარულით მცერდში იკრავდნენ. ვერც ჩვენ ავუარეთ გვერდი თვალებგაბრწყინებულ "გოგო-ბიჭებს", მით უფრო, მათ შორის რამდენიმე ჩვენი ნაცნობიც აღმოჩნდა.*

*პარკის სწორედ იმ ნაწილში მოიყარეს თავი 54 წლის შემდეგ, სადაც მათი პირველი საშუალო სკოლა იდგა. დღეს უკვე შენობა აღარ არსებობს, მაგრამ თბილი მოგონებები და ბავშვობაში დაბრუნების სურვილი, წლებია, ერთად ყოფნის მიზეზად ექცათ.*

ისე როგორც მოსწავლეობისას, კითხვებზე პასუხის გაცემა ყველას ერთად სურდა. საუბარში ერთმანეთს ეცილებოდნენ და ცდილობდნენ, თავიანთი განწყობა უკეთესად გადმოეცათ. ყველაზე წარმატებულ სკოლაში ვსწავლობდით; პირველ კლასში 40 ვიყავით, 42-მა დავამთავრეთ, დღეს კი აქ 25-მა მოვიყარეთ თავიო. ისინი გვიხსნიდნენ: 1965 წლის კურსდამთავრებულები არიან. პირველად მათ პირველ კლასში შესვლის თარიღი აღნიშნეს. ორიანიც პირველად მაშინ დაუწერა ანჟელა ბუაძეს თავისმა კლასის დამრიგებელმა ნინა თევზაძემ, გაუთხოვარი ხარო, ეთერ დუნდუას კი ამ დროს სამი შვილი ჰყავდა. მოულოდნელობებით სავსე აღმოჩნდა პირველი შეხვედრა, როცა დიდი ხნის უნახავი მეგობრები გაოცებული უყურებდნენ ერთმანეთს და "ვერ გიცანი". _ "ეს მე ვარ", _ ხშირად გაისმოდა.

მეორედ სკოლის დამთავრების 50 წლისთავზე შეხვდნენ ერთმანეთს და მას შემდეგ ყოველწლიურად იკრიბებიან. ამჯერად მეოთხედ შეიკრიბნენ. უკვე მეხუთე კლასში გადავედით. _ იხუმრა ერთმა.

_ დაწერეთ ჩვენზე, ყველამ გაიგოს, 54 წლის შემდეგაც როგორ გვიყვარს ერთმანეთი და როგორ გვიხარია ერთმანეთის დანახვა. _ ეს დარეჯან მაჭარაძეა.

მერე ქალბატონები ანჟელა ბუაძე და მზევინარ მაჭავარიანი რედაქციაში გვეწვივნენ და თავიანთი მეგობრებისა და განუმეორებელი წლების შესახებ გაუნელებელი ემოციებით გვესაუბრნენ. მადლიერება გამოხატეს იმ თანაკლასელების მიმართ, ვისი მეშვეობითაც მათმა შეხვედრამ ტრადიციული სახე შეიძინა. ყველაფერი კი ილია მანაგაძის, ჯუმბერ მელქაძისა და აჩიკო ჯანელიძის დამსახურებაა. ბატონ ილიას თბილისში, სახლში, სკოლის მეგობრების გარდა თანაკურსელებიც ესტუმრნენ თურმე. ერთი დღე გვაქვს, როდესაც თანაკურსელები ვიკრიბებით და რატომ არ შეიძლება, თანაკლასელებიც შეეხვდეთო, უთქვამს. წელს შეხვედრა ნათელა ჯანჯალიას, სამი შვილთაშვილის დიდი ბებიას დაბადების დღეს დაემთხვა.

ყოველ ასეთ შეხვედრას მოუთმენლად ელიან. ერთად ყოფნა არ სწყინდებათ. მანძილი ბარიერს არ წარმოადგენს, სამტრედიაში მოიყარონ თავი. "ამ წლებში გამომჟღავნდა, თურმე, როგორ გვყვარებია ერთმანეთი". _ აღნიშნა მზევინარ მაჭავარიანმა. მათი შეხვედრიდან რამდენიმე დღე გავიდა და უკვე ენატრებათ ერთმანეთი.

"ძალიან კარგი, მეგობრული და ცელქი ბავშვები ვიყავით. მაშინ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები არსებობდა და ჩვენც ვაქტიურობდით." _ გვიყვება ქალბატონი ანჟელა, რომელსაც ერთ დროს კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნის პოსტი ეკავა. მან ერთმანეთს ასეთი ბავშვობა, თანაკლასელების შვილები. უხარიათ ერთმანეთის წარმატებები და ეამაყებათ, რომ მათ მეგობრებს კარგი შთამომავლები ჰყავთ. ისიც, თემურ ტორონჯაძის შვილიშვილმა წელს ეროვნულ გამოცდებზე გრანტი რომ აიღო და დალი მაჭარაძის შვილიშვილიც სტუდენტი გახდა.

"თქვენ რომ პატარა ბიჭი გელაპარაკებოდათ, მურმან მელქაძე", _ "მისახვედრად" მიხასიათებს თანაკლასელს ანჟელა ბუაძე. _ "ისეთი წყნარი ბავშვი იყო, ეკონომიური დაამთავრა, თბილისში ცხოვრობს, კარგი ოჯახი ჰყავს". და არც მარტო ის, რეზო ხასია მხატვარია, ნანი ლეჟავა _ მუსიკოსი, ილია მანაგაძე _ ინჟინერი, დალი ხურცილავა _ მეაბრეშუმე, ამირან მიქაძე _ აგრონომი, ვერცხლის, ხოლო ილია მანაგაძემ, რეზო ხასიამ და ლიანა ჯანჯღავამ ოქროს მედალზე დაამთავრეს სკოლა. ბატონი ილია ინჟინერია. თანაკლასელებს გაუმხილა, რომ თავისი ოქროს მედალი ცოტა ხნის წინ შვილიშვილს აჩუქა. ისე გაიხარა, ასი პროცენტით შეიცვალა. ეს ბაბუას ოქროს მედალია და უნდა გავაორმაგოო.

ეს სახელიმილიანი ადამიანები, ერთი საერთო ბავშვობა რომ აქვთ, საინტერესო, მისაბაძი ბიოგრაფიებით მოვიდნენ აქამდე. ყოველ ასეთ შეხვედრაზე თითქოს ანგარიშს აბარებენ ერთმანეთს, ღირსეულად განვლილ ცხოვრებაზე ახალგაზრდული ხალისით ჰყვებიან. ისინი ერთმანეთისთვის ყველაზე დიდი გულშემატკივრები გახდნენ და ერთი დიდი კლასიც ერთ დიდ ოჯახად იქცა. სტკივათ ნაადრევად წასული თანაკლასელები, თანაკლასელების შვილები. ამბობენ, ეს ბავშვობა ბედნიერი ყოფილიო. ეს ბედნიერება ერთმანეთის ხელიანად ყოფნა, ერთმანეთის ალერსი, ერთმანეთის ალერსი, ერთმანეთის ალერსი... ეს ალერსი ბოლოს ერთმანეთს ერთ ოჯახად ქცევა, ერთ ოჯახად ქცევა, ერთ ოჯახად ქცევა... ეს ალერსი ბოლო

“წიგნის მოყვარულთა კლუბი”

# “პატივს ვცემ დათო ტურაშვილის პატრიოტიზმს, რომანებში გამოკვეთილს”

ნათია ნაცვლიშვილი

***რუბრიკას “წიგნის მოყვარულთა კლუბი” დავით შანიძე სტუმრობს. ის სოფელ გორმაღლის მკვიდრია. ამ გვარის ტარება საქართველოში პატივიცაა, ტვირთიც და მისიაც. და რომ ღირსეულად ართმევს თავს ამ მისიას ჩვენი რესპონდენტი, ამაში ინტერვიუ ნამდვილად დაგარწმუნებთ. დავითი საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მაგისტრატურის საფეხურის მეორე კურსზე ენათმეცნიერებას სწავლობს. დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით და მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი ქართულ ფილოლოგიაში (მეორადი სპეციალობა ფსიქოლოგია).***

**_ დავით, დღის რა მონაკვეთს უთმობ კითხვას?**

_ დღის პირველ ნაწილში ვსწავლობ, მეორეში ვმუშაობ, თავისუფალი დრო, შეიძლება ითქვას, არ მაქვს. თუმცა, როგორც კი დრო გამომიჩნდება, ვცდილობ, ნაყოფიერად გამოვიყენო. უფრო მეტად ვკითხულობ, მაგრამ მიყვარს წაკითხული წიგნის ფილმად ყურება, ყოველ ჯერზე ვრწმუნდები, რომ წიგნის კითხვისას შეგიძლია უსაზღვროდ გაშალო შენი ფანტაზია, ხოლო ფილმში უკვე რეჟისორის ფანტაზია, მისი შექმნილი სახეები თუ საგნები შემოგეჩეჩება. ბოლოს ვნახე შექსპირის უკვდავი დრამის “მეფე ლირის “ ეკრანიზაცია და ნაწარმოებთან შედარებით ბევრად უემოციო მეჩვენა, ვფიქრობ, ეს განასხვავებს ფილმს და წიგნს. ამიტომ, მეტ დროს ვუთმობ წიგნის კითხვას.

**_ წიგნი თქვენთვის რა ფენომენია?**

_ წიგნი ძველად დიდი სიმდიდრე იყო, იმდენად იშვიათი და მნიშვნელოვანი, რომ მხოლოდ განსაკუთრებული ტექსტებისათვის გამოიყენებოდა, რა უნდა ყოფილიყო იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე ანბანი, სახარება და “ვეფხისტყაოსანი”. სწორედ ეს სამეული დაიბეჭდა პირველად ქართულ ენაზე. დღეს მე თუ მკითხავთ, წიგნის მნიშვნელობა გაუფასურდა, ყველა წერს და ბეჭდავს, არავითარი კომისია, განხილვა, _ ღირს კი ამა თუ იმ წიგნის დაბეჭდვა?! მიუხედავად ამისა, ჩემთვის არ არსებობს წიგნი, რომლისგანაც ვერაფერს ისწავლი. უთქვამთ, მაგას რა გაკითხებს, რისი მომცემიაო. მე ასე არ ვფიქრობ, წიგნი ცუდიც უნდა წაიკითხო და კარგიც, რომ ისწავლო გარჩევა_ ეს კარგია, ეს ცუდი.

**_ რომელია თქვენი საყვარელი ჟანრი და რატომ ანიჭებთ მას უპირატესობას?**

_ საყვარელი ჟანრები ასაკის მატებასთან ერთად იცვლებოდა. ჯერ იყო ზღაპრები, სათავგადასავლო მოთხრობები, შემდეგ კლასიკოსი მწერლების შემოქმედებას მივეძალე _ ნოველები, მოთხრობები, რომანები. ბოლოს იმ აზრამდე მივედი, რომ ზღაპარი და ლეგენდა უფრო მეტია, ვიდრე გამოგონილი გასართობი ისტორია. ის მოიცავს ისტორიას წინაპრების რწმენაზე, ღვთაებებზე, მითიურ არსებებზე, კულტებზე და ა.შ. მართალია, ეს წარმართულია, მაგრამ, ძველი ისტორიის დიდი ნაწილია და დღესაც ხშირად ვნახავთ მთის ხალხს მზისა და მთვარის მგალობლად.

**_ ვიცი, რომ ბავშვობიდან წიგნებთან ერთად, შემეცნებითი ხასიათის ჟურნალების წლიურ გამოცემებს აგროვებდით, დიდია თქვენი ბიბლიოთეკა?**

_ გამომდინარე იქიდან, რომ ფიზიკოს-მათემატიკოსების ოჯახში გავიზარდე, მხატვრული ლიტერატურა ნაკლებად მოიპოვებოდა ოჯახში, დედაჩემს უყვარს კითხვა და ყოველთვის ცდილობდა, შეევსო ბიბლიოთეკა, ასე რომ, მხოლოდ მისი მონდომებით შეძენილი წიგნები გვქონდა. მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში ქართულ ფილოლოგიაზე ჩავირიცხე, გამიჩნდა სურვილიც და საჭიროებაც, მქონოდა დიდი ბიბლიოთეკა. წიგნების დიდი ნაწილი მეორადი წიგნების ბაზრობაზე მაქვს შეძენილი. მხოლოდ აქ შეიძლება წააწყდეთ მაგალითად, სოფოკლეს “ტრაგედიებს” ან ილიას “გლახის ნაამბობს” ერთ ლარად, იმიტომ, რომ მცირე ზომისაა. სწორედ ასეთ ადგილებში და წიგნის სხვა მაღაზიებში შეძენილი წიგნებით შევძელი, ცოტა გამეძლიერებინა ჩემი ბიბლიოთეკა. ამ რამდენიმე წელიწადში ორასამდე წიგნი შევიძინე, დიდი ნაწილი ქართველი და უცხოელი კლასიკოსი მწერლების შემოქმედებაა. ილია, აკაკი, ვაჟა, ჰიუგო, ბალზაკი, ზოლა, და ა.შ. თუმცა, მაქვს ახალი მწერლობის ნიმუშებიც, ავე სახელწოდების მიუზიკლი ფრანგულ ენაზე. არიან მწერლები, რომლებთან შეხვედრას და საუბარსაც ვისურვებდი, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოვახერხე. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში მოუწყვეს შეხვედრა გურამ დოჩანაშვილს, მაგრამ ვერ შევძელი იქ მისვლა.

**_ რომელ ეპოქაში ისურვებდით ცხოვრებას და რომელ ლიტერატურულ გმირთან?**

_ ხშირად დაუსვამთ იგივე კითხვა, თუმცა, დღემდე არ მიფიქრია, რომელ ეპოქაში ვიცხოვრებდი და რომელ ლიტერატურულ გმირთან. ძალიან მიყვარს რემარკის “სამი მეგობარი” და სიამოვნებით ვიქნებოდი მეოთხე მეგობარი, ალბათ...

**_ ძალიან პატრიოტული სულის მქონე ახალგაზრდა ხართ, ამაში თქვენს სოფლურ წარმოშობასაც მიუძღვის წვლილი, რამდენჯერმე სტუმრობდით კულტურულ საქართველოს _ ტაო-კლარჯეთს, როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით?**

_ ტაო-კლარჯეთში პირველად 2016 წელს მოვხვდი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის დაფინანსებით ყოველწლიურად ეწყობა დიალექტოლოგიური ექსპედიცია ისტორიულ საქართველოში, ექსპედიციას ხელმძღვანელობენ პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე და

მათ შორის ოტია იოსელიანის, დათო ტურაშვილის, გიორგი კეკელიძის და სხვების წიგნები.

**_ ვინ არიან საყვარელი ქართველი თუ უცხოელი მწერლები? იცნობთ პირადად და ახლოს რომელიმე თანამედროვე მწერალს? გაქვთ წიგნები მათი წარწერით?**

_ გამორჩეულად საყვარელი მწერალი არ მყავს, თუმცა, უდიდეს პატივს ვცემ კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილს, ილია ჭავჭავაძეს. სიამოვნებით ვკითხულობ ნოდარ დუმბაძის რომანებს, გოდერძი ჩოხელის მოთხრობებს, მიყვარს ოტია იოსელიანის ლექსები, მისი გამორჩეული სიტყვათქმნადობა. ერთ სტროფს გეტყვით:

“შენთვის ვიყავ, ვერ რა გიყავ,
ვერანაირ ბედ ვერ გწიე,
ამად ვიდავიდარაბე,
ამად ვიგაწამაწიე. “

უცხოელი მწერლებიდან ძალიან მიყვარს ვიქტორ ჰიუგო, მისი “პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი” ერთ-ერთი უკვდავი და დაუვიწყარი რომანია ჩემთვის. ასევე შესანიშნავია ამასოცირებული პროფესორი ეკა დადიანი. ექსპედიციის ხარჯების ნახევარს აფინანსებს უნივერსიტეტი, დანარჩენი ხარჯების დაფარვა კი სტუდენტებს უწევთ. 2016 წელს ამ ხარჯების დაფარვაში დამეხმარა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, რისთვისაც მადლიერებას კიდევ ერთხელ გამოვხატავ.

ექსპედიციაში გახლდით 2017-18 წლებშიც, ყოველ ჩასვლაზე მაქვს განცდა, რომ დიდი ხნის უნახავ ნათესავებთან ჩავდივარ. ეს არაა მხოლოდ შთაბეჭდილება, ეს არის ემოცია, ურთიერთობა, დაახლოება და ა.შ. ხშირად უკვირთ, თუ რატომ ეწყობა ექსპედიცია ყოველ წელს 10-15 წელია, რა არის ამდენი სამუშაო იქ? ჩემი პასუხი ასეთია_ ჩვენ შეიძლება ერთადერთი ძაფი ვართ, რომელიც იქაურ და აქაურ ქართველებს ერთმანეთთან აკავშირებს, ის სიხარული, სითბო და სიყვარული, რასაც იქაური ქართველები გვჩუქნიან, გულში გვრჩება და გვაიძულებს, კიდევ ერთხელ და მრავალჯერ ვინახულოთ ჩვენებურები.

**_ რომელიმე თანამედროვე პოეტის ან მწერლის საჯარო ლექციებს ესწრებით? რომელიმე მათგანს განსაკუთრებულად გამოარჩევდით?**

_ თავისუფალი დრო ცოტა მაქვს და თითქმის ვერ ვახერხებ სამსახურის და უნივერსიტეტის გარდა ვერაფერს. სამწუხაროდ, ვერც საჯარო ლექციებს ვესწრები, თუმცა კი ამის საშუალება ხშირად გვეძლევა. თანამედროვე პოეტები ჩემში დიდ ინტერესს ვერ იწვევენ, შეიძლება ითქვას, ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ ძნელია გალაკტიონის, ტიციანის, პაოლოს და სხვების შემდეგ იკითხო თანამედროვე ლექსები. პირადად არ ვიცნობ არც ერთ თანამედროვე პოეტს და სიმართლე გითხრათ, ვერც

დაგისახელებთ თანამედროვე პოეტს, რომელსაც სიამოვნებით გავიცნობდი. იგივეს ვერ ვიტყვი თანამედროვე პროზაიკოსებზე, დიდ პატივს ვცემ დათო ტურაშვილის პატრიოტიზმს, რომანებში გამოკვეთილს. სიამოვნებით გავიცნობდი აკა მორჩილაძეს და დათო ტურაშვილს, თანამედროვე მწერლებიდან გამოვარჩევდი თამარ ფხაკაძეს მისი პიესით “ბოსტანი კონფლიქტის ზონაში” და ლაშა თაბუკაშვილს ასევე პიესით “მერე რა, რომ სველია სველი იასამანი”.

**_ უხამსობებით გაჯერებულ თანამედროვე ტექსტებს როგორ შეაფასებთ მომავალი ენათმეცნიერი? თუმცა, პოეტები, რომლებიც “ანტიტყაოსანს” და მსგავს რამეებს წერენ, სულაც არ არიან უნიჭონი... როგორ ფიქრობთ, პოპულარობის მოსაპოვებლად მიმართავენ ისინი მსგავს ხერხებს?**

_ თანამედროვე მწერლობაში მომრავლდა სწორედ უხამსობით გაჯერებული ტექსტები, ავტორები ხშირად პერსონაჟის სახის შესაქმნელად ან რაღაც კონკრეტული ეპოქის თუ დროის პატარა მონაკვეთის აღსაწერად იყენებენ უხამს სიტყვებს, წერენ ნარკოტიკებით თრობაზე და ა.შ. მახსენდება აკა მორჩილაძის “აგვისტოს პასეანსი”, ან ბულაძის “ბოლო ზარი” და სხვები, სადაც ახალგაზრდების დეგრადაცია სწორედ უხამსობებითაა წარმოჩენილი. თუმცა არიან მწერლები, რომელთა ლექსიკაცაა უხამსი. როგორც ახსენეთ, “ანტიტყაოსანი”, ან თუნდაც “საიდუმლო სირობა”. ვერ ვიტყვით, რომ ამ ნაწარმოებებში უხამსობა პერსონაჟის მხლი გროშები გაგიმეტებიათ?

_ გამიმეტებია ბევრჯერ. წიგნი ერთადერთი რამაა, რისთვისაც ფული არ მენანება, მით უმეტეს, თუ საჭირო წიგნს წავაწყდები. ბოლო გროშებიც გადამიხდია და წიგნის გამო გროშებიც დამრჩენია მთელი თვის სტიპენდიიდან.

**_ სამაგიდო წიგნი გაქვთ?**

_ არ გაგიკვირდებათ, თუ სახარებას და “ვეფხისტყაოსანს” დავასახელებ. ჩემს ცხოვრებაში, ყველაზე მეტ ნიმუშს და მაგალითს, სწორედ ამ წიგნებიდან ვიღებ. სახარება უდავოდ ამისთვისაა, თუმცა, “ვეფხისტყაოსანსაც” ხომ საერო სახარებას უწოდებენ.

**_ თავად წერთ რამეს? ბევრ საგანს კარგად ფლობდით, რატომ აირჩიეთ მამაკაცმა ფილოლოგია?**

_ არა, სამწუხაროდ წერის ნიჭი არ მერგო. როგორც გითხარით, ფიზიკოს-მათემატიკოსების ოჯახში გავიზარდე, თუმცა, როგორც ჩანს, ოჯახურ გარემოს გვარმა აჯობა და ენათმეცნიერებაში ამოვყავი თავი. ამ ფაქტის გამო სამეგობრო წრეში აკაკისაც კი მეძახიან.

**_ საყვარელი ციტატით დავასრულოთ საუბარი...**

_ რამდენიმეს გეტყვით, განსხვავებულ ავტორებს და თემატიკას ეხება. პირველად, რა თქმა უნდა, რუსთაველი “კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების!”, ილია ჭავჭავაძე: “სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა, სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა”, და შექსპირი “არარაისგან არ იქმნება არარაიცა”.

**175 წელი შესრულდა დიდი ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან. მისი სახელი ყველა ქართველისთვის და განსაკუთრებით სამტრედიელებისთვის ძვირფასია. იგი იქცა თანამემამულე პოეტების მუზად. მკითხველს "ბრძენკაცისადმი" მიძღვნილ ზოია ვაშაკიძისა და გიორგი კაჭახიძის ლექსებს ვთავაზობთ.**

## სამყაროს უცქერდა სულისმწვერვალიდან

*ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში*

მწვანეში ჩაფლულ ოდას სხივი დამზერს,
აქ კედარის და ფიჭვის შრიალია,
აქ ნატერფალია ნიკო ნიკოლაძის,
ვინაც მამულზე ფიქრს გული შეალია.
ნიავი ჩურჩულებს, მღერის სადიდებელს,
სხივი ეკონება აკვანს, ყრმობის ნივთებს,
ისე მშვენიერობს ეზო ნაფერები,
მთვარე ჩერდება და მშვიდად ღამეს ითევს.
ძლიერ უყვარდაო ბრძენკაცს კარ-მიდამო,
გულის მზით უყვავოდა ვაზი და ტალანი,
მტევნის ტკბილნაჟურით ბაგე დათაფლული
სტუმრებს მასპინძლობდა ქვევრი და მარანი.
მისი ოცნებით და სიბრძნით ნაპკურები
ხალხის სამსახურში ჩადგნენ სადგურები,
ხიდი აშენდა და ქუჩა შეიმოსა,
აყვავდნენ ვარდები და მიმოზები.
იყო მოაზროვნე, იყო მწერალი და
სამყაროს უცქერდა სულის მწვერვალიდან...

**გიორგი კაჭახიძე**

## დიდი თანამემამულის გახსენება

*ნიკო ნიკოლაძეს*

უქებდნენ სიტყვის გამჭრელობას, საქვეყნო აზრებს,
უყვარდა ჩვენი ჯიხაიში, მისი მიდამო,
დროდადრო კრძალვით გაისმოდა კარიდან კარზე:
ქვეყნის თავკაცი ნიკოლაძე ჩამოვიდაო.
გული გვიცემდა იმ დღეებში ბალღებს სამღერად,
გვავიწყდებოდა შინ ხბორების დროზე მორეკვა,
ირგვლივ ვუვლიდით სასოებით ნიკოს ბაღ-ვენახს,
რომ ჩუმად ქვეყნის თავკაცისთვის თვალი მოგვეკრა.
უთქვამს მის ღვაწლზე ლოცვასავით წმინდა სათქმელი
ყველა მხვნელ-მთესველს,
ყველა პაპას,
ყველა დიდედას...
ჩამოდიოდა მთელი ქვეყნის მცოდნე ქართველი,
ბევრი სწავლულის მასწავლებლად, სოფლის იმედად.
სიყვარულივით ყველასაკენ ფართო გზა ჰქონდა,
უვლიდა ხეხილს, აფხიზლებდა თოხით ყანასაც,
ღამით ქაღალდზე სტრიქონების კვალი გაჰქონდა
და გაზეთებით საუბრობდა მთელ ქვეყანასთან.
დღეს არ ჩამოდის მთაწმინდაზე დასახლებული,
კაცი მოღვაწე,
გამჭრიახი,
კაცი ლამპარი,
მაგრამ, ვით ხალხის საკრებულო განახლებული,
გულგახსნილია ყველასათვის მისი სახლ-კარი.

**ზურა ვაშაკიძე**

ბლიც-ინტერვიუ

# სურვილი მაქვს, შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვამჟღავნო

*ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა დავით გეგეშიძე სტუმრობს "სამტრედიის მაცნეს". დაიბადა 1996 წლის 4 აპრილს, დაამთავრა სამტრედიის მეთერთმეტე საჯარო სკოლა და სწავლას საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე განაგრძობს. გარკვეულ ხანს სადისტრიბუციო კომპანია "დიპლომატ ჯორჯიაში" მუშაობდა.*

_ **აღმსარებლობა.**

_ მართლმადიდებელი ქრისტიანი.

_ **გყავთ მოძღვარი?**

_ მამა ზაქარია (მესხი) გახლავთ ჩემი მოძღვარი.

_ **საყვარელი მასწავლებელი.**

_ ყოფილ პედაგოგებში შემიძლია გამოვყო ჩემი პირველი მასწავლებელი თამილა კახიანი.

_ **რა გარემოებებმა გადაგაწყვეტიათ პროფესიის არჩევა?**

_ სამართალმცოდნეობისადმი ჩემმა დიდმა ინტერესმა, შემდეგ უკვე სიყვარულმა.

_ **ვის გარემოცვაში ატარებთ თავისუფალ დროს?**

_ თავისუფალ დროს სრულიად ვუთმობ ოჯახსა და მეგობრებს.

_ **საყვარელი მწერალი, ლიტერატურული ნაწარმოები.**

_ ნოდარ დუმბაძე, "თეთრი ბაირაღები".

_ **სპორტის რომელი სახეობა გიტაცებთ, ან შეგიძლიათ სიამოვნებით უყუროთ?**

_ ფეხბურთს სამოყვარულეო დონეზე ვთამაშობ, ყურებაც სიამოვნებას მანიჭებს.

_ **თქვენი აზრით, რამდენად შეიძლება იყოს რეალიზებული საქართველოში დღესდღეობით მოწინავე ახალგაზრდა?**

_ ქვეყანაში არსებული პრობლემების მიუხედავად, ვთვლი, რომ მონდომებისა და მიზნის მიღწევის დიდი სურვილის ხარჯზე შესაძლებელია თვითრეალიზება.

_ **როგორ შეაფასებთ თანამედროვე ახალგაზრდობას?**

_ ორიოდე სიტყვით: ჰუმანურები, პროგრესულები.

_ **თვლით, რომ წიგნმა კომპიუტერი ჩაანაცვლა?**

_ მიუხედავად იმისა, რომ წიგნს განსაკუთრებული ხიბლი აქვს, მაინც მიმაჩნია, რომ კომპიუტერმა წიგნი ნაწილობრივ ჩაანაცვლა.

_ **სამომავლო გეგმების შესახებ რას გვეტყვით?**

_ ვაპირებ, საქმიანობა ჩემივე პროფესიით განვაგრძო, შევეცდები, მაქსიმალურად გამოვამჟღავნო საკუთარი შესაძლებლობები.

_ **მიზანი.**

_ თვითგანვითარება, როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული კუთხით.

_ **სურვილი.**

_ ისეთ ყოფაში, გარემოში ცხოვრება, სადაც ნებისმიერს შეეძლება განვითარება.

_ **ოცნება.**

_ ვთვლი, რომ ადამიანმა დრო ოცნებებში არ უნდა დაკარგოს და მაქსიმუმი უნდა გაკეთოს სურვილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

**ლევან გაბეჩავა**

***

ცუდი ლექსივით წაშალეს
ცის დაფა,
დილა ფიფქებივით ხელზე
გეამბორა,
შენ ცას შესცქეროდი თითქოს და ასე
მზის ახალ მეტაფორად...

***

დედა დიდ ხეს მაგონებს ფიქრებტოტებშემკულს,
ჩვენ კი მუდამ ჩიტები ვგონივართ
მის ტოტებზე ჩამომსხდარნი...

**ალავერდი**

ქართული მიწა საოცარია მისი ტკივილებით,
მაინც სადღეგრძელოდ უჭირავს ალავერდი,
და ცას უჭახუნებს გუმბათიანს
ღმერთო, შენთან მაქვსო ალავერდი...

**შემოდგომა**

სიცხისგან გათანგულმა
გადაიპირქვავა წყლით ავსებული
ზაფხული ჭიქით,
მთლად რომ ვერ დაცალა და
ცოტა ოქტომბერი ჩატოვა შიგნით...

***

ისე გათენდა, ღრუბლის ბოლებად
ავდარი გააბოლა აგვისტოს ყალიონმა,
შემომხედა და ენაზე დადებულ
აბივით გადაყლაპა მთვარე ალიონმა...

***

ჩვენს სოფელში ეს უნდა ნახო,
ასე თენდება ზაფხული, ასე,
ღობეს შემჯდარი ალიონი
მამლის ბიბილოდ ცხელ აგვისტოს
რომ
დაიდგამს თავზე...

***

ეკრანივით დგას ტალავერი
და ვაზი მტევნებად ახალ მელოდიას
გვთავაზობს
წინაპრებმა რომ გაახმოვანეს...

***

წყალი მოსწყურდა, გამშრალა,
არც იდგა მთისა თაროზე.
შეუდგა პატარა დოქი
დედის თვალების წყაროზე.
მზე მასპინძელი სიცოცხლის
სირცხვილისაგან გაწითლდა...
აიღო თავის ჩოხა და
ღრუბლის საძებრად წავიდა...

***

ლექსი ვიხმიე და თითქოს
სტრიქონში ჩუმად შეურევია
სიყვარულის წამალი...

***

ჩემი ოდის ძველი კედელი
ოდნავ გავფხაჭნე,
და დავინახე ძველი კედლიდან
როგორ ტკივილით გადმოვარდნენ
ბებო და ბაბუ.

**ერმილე თოფურია**

# ფოტო ისტორიას ჰყვება

სურათზე გამოსახულთაგან ცოცხალი აღარავინაა, თითოეულმა ათობით წელი იღვაწა სახალხო განათლების სისტემაში და თაობათა სიყვარულიც დაიმსახურა. სამთავრობო ჯილდოები, რომლებიც მკერდს უმშვენებთ, მათ ხანგრძლივ და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობაზე მეტყველებენ.

სურათზე, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩვენთვის უცნობი ავტორის მიერაა გადაღებული, აღბეჭდილნი არიან: (მარცხნიდან) ქეთევან სტურუა, ნადია გოგეშვილი, ტატიანა გეგუჩაძე, გრიშა ნუცუბიძე, დავით ანდრიაძე, შალვა ჩიხლაძე.

პროფესიულ დღესასწაულს აღნიშნავენ ამ დღეებში ქართველი პედაგოგები. ფოტოს გამოქვეყნება სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა და იმან, რომ უეჭველად ბევრს აღუძრავს მოსწავლეობის ტკბილ მოგონებებს მათი აღმზრდელების ფოტოს ხილვა.

**ლევან გაბეჩავა**

ხსოვნა

# ოთარ შანიძის საიუბილეოდ

ლევან გაბეჩავა

***შანიძეთა გვარის არაერთი ღირსეული წარმომადგენლის სახელია დაკავშირებული სამტრედიასთან. ქართული ენათმეცნიერების პატრიარქი და საქართველოს დედა უნივერსიტეტის მესაძირკვლეთაგანი აკაკი შანიძე, ეროვნული ფოლკლორის დიდი მოამაგე, სამტრედიის სამუსიკო სასწავლებლის ფუძემდებელი დომენტი შანიძე და მისი ვაჟიშვილები, პოეტი ალექსანდრე შანიძე და სხვები.***

***დიახაც, რომ მრავალმხრივი ნიჭით გახლდათ მირონცხებული დომენტი შანიძის უმცროსი ვაჟიშვილი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, სამტრედიის №1 სამუსიკო სკოლის დირექტორი, რეჟისორი და მსახიობი, საზოგადოება "სამტრედიელის" პრეზიდენტი, დასავლეთ საქართველოს მუსიკალური სკოლების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ჩვენი გაზეთისა და რედაქციის თითოეული წევრის დიდი მეგობარი, სამტრედიის საპატიო მოქალაქე, ბატონი ოთარ დომენტის ძე შანიძე.***

უმნიშვნელოვანესი და უდიდესია წვლილი, რომელიც ბატონმა ოთარმა შეიტანა სამტრედიის კულტურულ ცხოვრებაში. საოცარი შრომისმოყვარეობა, ნიჭის მრავალმხრივობა იყო დამახასიათებელი ბუნებით მაძიებელი კაცისათვის.

დიდია მისი დამსახურება და ძალისხმევა სამტრედიაში, მის სოფლებში მუსიკალური სკოლების დაარსების საქმეში.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოში ახალი ძალით იწყო აღმავლობა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ამ მოძრაობაში მნიშვნელოვანი გახლდათ სამტრედიელთა წვლილი, სწორედ მათ შორის იყო ოთარ შანიძეც, რომელიც მხურვალედ თანაუგრძნობდა ჭეშმარიტად პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალულთ და ყველაფერს აკეთებდა საერთო, ნათელი მიზნის მისაღწევად. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით რომ დაგვირგვინდა ყოველივე.

რეჟისურაშიც თქვა საკუთარი სიტყვა ოთარ შანიძემ და განუმეორებელი სახეებიც შექმნა რკინიგზელთა სახალხო თეატრისა და ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრთან არსებულ თეატრის სცენებზე.

მისი წერილები, მოსაზრებები ხშირად იბეჭდებოდა რაიონულ და ცენტრალურ გაზეთებში.

1957 წლიდან (მამის გარდაცვალებიდან) 2003 წლამდე, გარდაცვალებამდე, ედგა ბატონი ოთარი სათავეში მამამისის დიდი რუდუნებით დაარსებულ №1 სამუსიკო სკოლას, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო, ამ სკოლის აღზრდილები წარმატებით მოღვაწეობდნენ და განადიდებდნენ ჩვენს პატარა, კოხტა სამტრედიას.

თითქმის სიჭაბუკეში ოთარ შანიძეს წილად ხვდა პატივი, ძმები შანიძეების კვარტეტის სახელით ცნობილ ჯგუფში ომში დაღუპული ძმა შეეცვალა, წარმატებით გაართვა მან თავი ყოველივეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ბატონი ოთარის ერთ-ერთი ძმა დამასკოსა და ჰავანის (კუბა) კონსერვატორიის პროფესორი იყო.

საუბრის ცალკე თემაა ოთარ შანიძის მჭერმეტყველება და ჯანსაღი, საღი იუმორის გრძნობა. ძალზე ხშირად ნახავდით მას რედაქციაში.

თითქმის ყოველდღე კამათობდნენ, თუმცა მაინც ერთად იყვნენ განუყრელი მეგობრები და მეზობლები ოთარ შანიძე და ჩვენი უფროსი კოლეგა აწზორ გრიგოლია.

"ილიკო და ილარიონივით სულ კამათობთ, მაგრამ მაინც სულ ერთად ხართო", ხშირად ეტყოდა ხოლმე მათ ბატონი მიშა ნიკოლეიშვილი, ისიც მათი მეზობელი, ჩვენი კოლეგა.

შემოქმედებითი პათოსით აღსავსე, მოხდენილად ატარებდა 75 წელს.

წინა დღეებში ჩვენთან, რედაქციაში სამომავლო გეგმებზე საუბრობდა.

ჩვეული განრიგით, ჩვეულ დროს, პეწიანად, საქაღალდით ხელში მიიჩქარობდა ყოველ დილით სკოლისაკენ და შინ გვიან ბრუნდებოდა, როცა სკოლიდან ბოლო მოსწავლე და პედაგოგი გამოვიდოდა.

...

რამდენიმე დღე იავადმყოფა მხოლოდ...

საოცრად განიცადეს სამტრედიელებმა კიდევ ერთი კოლორიტი კაცის გარდაცვალება. ტაშით გამოასვენეს კულტურის სახლიდან და ისე გააცილეს უკანასკნელ გზაზე, სამარადისო სამყოფად კი სამტრედიის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი მიუჩინეს.

იქაც ერთად არიან განუყრელი მეზობლები და მეგობრები ოთარ შანიძე და აწზორ გრიგოლია.

90 წლისა გახდებოდა ამ დღეებში ბატონი ოთარი.

მისასალმებელი იქნება № 1 სახელოვნებო სკოლაში მისი ხსოვნის საღამოს გამართვა.

## მურმან კაშიას გახსენება

14 ოქტომბერი დიდი საეკლესიო დღე _ სვეტიცხოვლობა და შენი დაბადების დღეა მურმან, ოღონდ ამჯერად, სამწუხაროდ, უშენოდ. ამ დღეს დაბადებული სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყავი ჩვენო სანიმუშო ადამიანო. იყავი კარგი მეუღლე, მამა, ძმა, მაზლი, ყველასთვის სიკეთის მსურველი და ხელშემწყობი, საუკეთესო მასწავლებელი, რომელიც აღსაზრდელების წარმატებებით ხარობდი და ყველაფერს აკეთებდი იმისთვის, რომ მოსწავლეებში მათემატიკურ ნიჭთან ერთად შრომისმოყვარეობის ნიჭი განგვითარებინა, მთელი ცხოვრება ეძებდი სიახლეებს და იმაღლებდი ცოდნას, რაც დიდი მიღწევებით ივსებოდა. შენ აღმოაჩინე ფორმულა: ცოდნა რომელიც არ მატულობს, კლებულობს.

შენ ასე გწამდა _ მარტო საგნის ცოდნა არ არის მასწავლებლისთვის, მასში მთავარია იჯდეს პედაგოგი და ბევრჯერ შემოუთავაზებიათ, მურმან, თანამდებობა, მაგრამ პედაგოგობაზე საპატიო თანამდებობა შენთვის არ არსებობდა. ამიტომაც გაგყვა იმქვეყნად მიმავალს დიდი გულისტკივილი და სიყვარული. გვჯერა, შენნაირებს ღმერთი ნათელში ამყოფებს, ჩვენ კი არასოდეს დაგივიწყებთ.

მე მუხლმოყრილი შევევედრები უფალს, მრავლად მოუვლინოს საქართველოს შენნაირები.

** შენი რძალი მაყვალა ვაშაკიძე**

## "საოცარი ვუნდერკინდი" _ კრისტიან ფრიდრიხ ჰაინეკენი

"ჩვილი ლუბეკიდან" _ ასე მოიხსენიებდნენ, მართლაც, საოცარ ვუნდერკინდს _ კრისტიან ფრიდრიხ ჰაინეკენს (1721-1725 წლები), რომლიც გერმანული ქალაქიდან _ ლუბეკიდან გახლდათ წარმოშობით. სამწუხაროდ, ბავშვი ოთხი წლის ასაკში გარდაიცვალა, თუმცა მასზე მთელი გერმანია და არა მარტო გერმანია საუბრობდა. იგი გახლდათ საოცარი ნიჭის მქონე ბავშვი, რომელმაც ლაპარაკი ათი თვის ასაკში დაიწყო და იმეორებდა აბსოლუტურად ყველა სიტყვას, რასაც მას ეტყოდნენ. ერთი წლის ასაკიდან მან შეისწავლა ბიბლია და ახსოვდა ყოველივე, რაც მასში ეწერა. ორი წლის ასაკში კი იცოდა ყველა ისტორიული ფაქტი, რაც კი ბიბლიაში იყო მოხსენიებული. გასაოცარი ფაქტია ისიც, რომ კრისტიანმა 3 წლის ასაკში შეისწავლა მსოფლიო ისტორია და გეოგრაფია, ამასთანავე, შეისწავლა ლათინური და ფრანგული ენები, რომელ ენებზეც გაეცნო მსოფლიო ისტორიასა და გეოგრაფიას. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ბავშვი დაინტერესებული გახლდათ მათემატიკითა და ბიოლოგიით. ოთხი წლის ასაკში დაიწყო სპეციალიზება ეკლესიის ისტორიასა და რელიგიის შესახებ. პატარა გენიოსზე ალაპარაკდა მთელი ევროპა, მათ შორის დანიის მეფე ფრიდრიხ IV დანიელი, რომელმაც ბავშვის დანიაში (კოპენჰაგენში) მიწვევა გადაწყვიტა, რათა თავად დარწმუნებულიყო კრისტიანის შესაძლებლობებში. 1824 წლის 9 სექტემბერს კრისტიანი აუდიენციაზე შევიდა ფრიდრიხ IV-თან და მისგან იგი მედლით დაჯილდოებული გამოვიდა, ამასთანავე, მას მეფემ "მირაკულუმი" უწოდა. ცნობილი ფაქტია, რომ ბავშვმა მეფესა და მაღალი წოდების წარმომადგენლებს ჩაუტარა ლექცია ისტორიის შესახებ, რითაც აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე პუბლიკა. აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ ბავშვმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ის "ფაფის" გარდა სხვა საკვებს არ მიირთმევდა. მიუხედავად გენიალური აზროვნებისა, იგი ფიზიკურად საკმაოდ სუსტი იყო, იტანჯებოდა უძილობით, რამაც მისი კვების მხრივაც პრობლემები წარმოქმნა. 1725 წლიდან ბავშვის მდგომარეობა ჯანმრთელობის მხრივ კიდევ უფრო დამძიმდა, ამავე წლის 27 ივნისს, ოთხი წლის ასაკში _ კრისტიან ფრიდრიხ ჰაინეკენი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ კი მხოლოდ ეს სიტყვები წარმოსთქვა: "უფალო ჩემო იესო ქრისტე, მიიღე სული ჩემი"...

ბავშვის გარდაცვალების შემდგომ მისი ცხედარი ორი კვირის მანძილზე არ დაუკრძალავთ და მისი ხსოვნის პატივის მისაგებად უამრავი ადამიანი მივიდა, მათ შორის გერმანიაში, თითქმის ყველა ცნობილი პიროვნება (პოლიტიკოსები, ხელოვანები და სხვა პროფესიის ადამიანები), დიდმა გერმანელმა კომპოზიტორმა გეორგ ფილიპ ტელემანმა კი "ჩვილი ლუბეკიდან" რამდენიმე ლექსიც მიუძღვნა. კრისტიან ფრიდრიხ ჰაინეკენის სახელი კი სამარადჟამოდ შევიდა ისტორიაში, როგორც საოცარი გონებითა და განათლებით დაჯილდოებული ბიჭუნა, რომელმაც ოთხი წლის ასაკში მთელი ევროპა აალაპარაკა.

**Genia.Ge**

## ციცინო ნოზაძის სახით ფრანკოფონიას კიდევ ერთი პროფესიონალი გამოაკლდა

საყვარელო ციცინო, ჩემო მეგობარო და კოლეგავ, 40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან.

როგორ დამწყვიტე გული... საფრანგეთში წასვლამდე რამდენიმე დღის წინ ვნახე, ბევრი ვისაუბრეთ, მოკითხვა შენს საამაყო შვილსო, _ მითხარი. გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს და რამდენჯერმე მოვუხედეთ ერთმანეთს... ალბათ, ვგრძნობდით, რომ ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი... ეს სიტყვები შენგან შორს საფრანგეთში დავწერე და თან გულამოსკვნილი ვტიროდი.

ჩემო დაიკო ციცინო, შენი სახით ფრანგული ენის უძლიერესი სპეციალისტი და კარგი პიროვნება დაკარგა არა მარტო სამტრედიის პირველმა საჯარო სკოლამ, არამედ მუნიციპალიტეტმაც.

ყველაზე დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს შენი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა და ის წარმატებული თაობები, რომლებიც შენს კალთებქვეშ დაფრთიანდნენ.

ვუთანაგრძნობ შენს კოლექტივს, სამეგობროს, შენს ოჯახს, შენზე მზრუნველ, ერთგულ მეუღლეს აჩიკოსა და შენს ერთადერთ საფიცარ გოგონას ეთუნის. უფალმა გამძლეობა მისცეს ყველას.

ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული! იძინე მშვიდად, ჩემო მეგობარო, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

**შენი მეგობარი და კოლეგა გულიკო გოგიტიძე**

მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია თანაუგრძნობენ გივი (გია) ცხვარაძეს შვილის

**ქეთი ცხვარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს გია ცხვარაძეს შვილის

**ქეთი ცხვარაძის**

გარდაცვალების გამო.

---

და გალინა მეგენეიშვილი, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ (თალიკო) მეგენეიშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

# მე-12 საჯარო სკოლის გოგონათა და ვაჟთა გუნდებმა გაიმარჯვეს

ევროპული სპორტის კვირეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაც ჩაერთო. 28 სექტემბერს მერიის სპორტის სამსახურის ორგანიზებითა და საჯარო სკოლების გუნდების მონაწილეობით სტრიტბოლი გაიმართა.

შეჯიბრი კალათბურთში ოლიმპიური სისტემით ჩატარდა, გოგონათა და ვაჟთა საკალათბურთო გუნდებმა 10 წუთიანი შეხვედრები გამართეს. შეჯიბრი, დაახლოებით, საათ-ნახევარს გაგრძელდა, რომელშიც 3 გოგონათა და 3 ვაჟთა გუნდი მონაწილეობდა.

ფინალის უპირობო გამარჯვებულები გახდნენ მე-12 საჯარო სკოლის გოგონათა და ვაჟთა გუნდები (დამსახურებული მწვრთნელი თამაზ ხაფავა).

სპორტულ ღონისძიებას, რომელიც წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის საკალათბურთო დარბაზში მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, სპორტის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე და მერიის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

გამარჯვებული გუნდები მერიის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდოთი და სამინისტროს მიერ დაწესებული სიგელებისა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

*ნინო ნანიტაშვილი*

სამტრედიაში რუსთაველის ქუჩის №23/2 გაიხსნა კომპანია "ფაბერლიკის" ოფისი. კომპანია გთავაზობთ, მსოფლიოში ცნობილი ჟანგბადის კოსმეტიკას.
ასევე, დასაქმებას.

ოფისი მუშაობს ყოველდღე
10 საათიდან 17 საათამდე. ტელეფონი: 577 42 55 52.


## ჩანახატი

ფოთოლმა ფერი იცვალა. მწვანე ფოთლები ქარვასავით გაყვითლდნენ. დაპბერა ცივმა ქარმა და წითელ-ყვითელი ფოთლები ცაში შეაფრიალა. ლამაზი ფოთლების ხალიჩაზე ვარკვლავივით გაშლილი ფოთლები ყრია. აქ მარაოსებური, მრგვალი და ნემსებივით წაგრძელებული ფოთლების შეგროვებაც შეიძლება. ირგვლივ კალმით და ენით აუწერელ სილამაზეს შეხვდებით. ბუნებას ტყის სილამაზეზე უფრო მშვენიერი არაფერი შეუქმნია. ფოთლებშემოცლილი ვაშლის ხე თავს იწონებს, რომლის ტოტზე ლოყებღაჟღაჟა ვაშლი ვერ ისვენებს, რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ პირი რომ არა აქვს, ვერ ლაპარაკობს. უამრავი პანტის ნაყოფი ჩამოყრილა ძირს და ირგვლივ შემოდგომის სუნი ტრიალებს. აშრიალდნენ ირგვლივ ხეები. გვირილებმა ყვითელი თვალები აახამხამეს. პეპლები გაინაბნენ. ჩიტუნები ხის დაბალ ტოტებზე ჩამოსხდნენ. მზე მხიარულად იცინის ცაზე. ჩამავალი მზის სიყვითლე ხის ტოტებში იძირება, ირგვლივ მადლიანი შემოდგომის ხვავი და ბარაქა იგრძნობა.

ფეხბედნიერი შემოდგომის დადგომას გილოცავთ ჩემო თანამემამულენო.

*ზაზა გრიგოლია*
*პენსიონერი*

### მაკა პაპავას!

დაბადების დღეს გილოცავთ საუკეთესო თანამშრომელს, კარგ ადამიანს, ერთგულ მეგობარს. დიდ ოჯახს, დედისერთა ვარსკვლავთბიჭუნას დავულოცავთ და ყველა საუკეთესო სურვილის ასრულებას ვუსურვებთ მზით გამთბარ და გაბრწყინებულ მისი ცხოვრების გაზაფხულისფერ გზაზე!

*"სამტრედიის მაცნე"*

### მარი ზიქვაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო მარი, სიხარული და ბედნიერება, ღვთის მადლი და წყალობა დაგებედოს ჩვენო საყვარელო.

*ბულიგი, ირა ბებიები ოჯახებით*


რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე
სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა